

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

SN 0130 1624

საბიბლიოთეკო

№ 8 1985 წ.

# საბიბლიოთეკო

0520360 76056






ეროვნული  
პიონერთა ორგანიზაცია



კოჯორი. პიონერთა ბანაკი „წითელი უაჩო“

ფოტო მ. შლამოვიძისა.

წყლის თხილამურზე. ფოტო მალხაზ დათიპაშვილისა.



# ვაჰან ტერიანის უკვდავება

საქართველოს კომპარტიის  
ცენტრალური კომიტეტის  
პირველი მდივანი, **ქვეყნის**  
**ჯუმაარ პატიაშვილის**  
ს ი ტ ყ ვ ა,  
წარმოთქმული 1985 წლის  
21 ივლისს, ზოგდანოვკის  
რაიონის სოფელ ბანძაში.

ძვირფასო ამხანაგებო!  
მეგობრებო!

დღეს ჩვენ ყველანი ვაპან ტერიანის სახელმა შეგვკრიბა. შეხედეთ, რა გასაოცარი შემკრები ძალა აქვს ამ სახელს, რამდენმა ადამიანმა მოიყარა თავი ამ წარმტაც მდელიზე, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ეწყობა ტერიანის პოეზიის დღეები, ახლა კი ამ თვალსაჩინო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების 100 წლისთავს ვლდესასწაულობთ!

ჩვენი შეხვედრა ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მხედველობაში მქვს არა ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრი სიმაღლე, რომელზეც აღმართულია განსაკვივრებული განძა, არამედ მაღალი წარმომადგენლობა ჩვენს მიტინგზე — აქ ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა რესპუბლიკის ბევრი რაიონიდან და ქალაქიდან, სტუმრები ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალედ და გულითადად მივესალმო მიტინგის ყველა მონაწილეს, ყველა ძვირფას სტუმარს, მოძმე სომხეთიდან ჩამოსული ყველა ჩვენი უღალატო და ერთგული მეგობრების დიდ ჯგუფს, რომელსაც მეთაურობს სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჩვენი ძვირფასი რობერტ ანდრანიკის ძე არზუმანიანი; და მათ შორის, როგორც ყოველთვის, ჩვენთან ერთად არის ჩვენი ნაცადი ამხანაგი, ჩვენი ძმა, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვარდგეს ამაზასის ძე პეტროსიანი, რომელიც ვაპან ტერიანის იუბილეს დღესასწაულობის საქართველოს რესპუბლიკური კომისიის წევრია.

დღევანდელ ზეიმში მონაწილეობენ საქართველოს კულტურის მოღვაწეთა წარმომადგენლობითი ჯგუფი, ბოგდანოვკისა და მეზობელი რაიონების მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, ტერიანის მშობლიური მესხეთ-ჯავახეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები.

ყველა მათგანი ტერიანის უკვდავი პოეზიის მკითხველი და თაყვანისმცემელია. მაგრამ, ალბათ, არ მოიბოძებდა ისეთი ადგილი, რაგინდ ვრცელიც იყოს იგი, რომელიც ვაპან ტერიანის ხსოვნისადმი პატივისცემის გამოხატვის ყველა მსურველს დაიტევდა. ახლა ჩვენს საიუბილეო მიტინგისაკენ არის მიპყრობილი ჩვენი ქვეყნის ყველა მხარის, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხის მრავალზე მრავალი ადამიანის გონების თვალი.

ფიქრით ამ წუთებში აქ, ჩვენთან ერ-

თად არის ეღუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე, რომელიც დღევანდელი ზეიმის მონაწილეობას აპირებდა, მაგრამ ვერ შეძლო ეს და მოსკოვში გამგზავრების წინ წერილი გამოუგზავნა პარტიის ბოგდანოვკის რაიონის პირველ მდივანს ამხ. ვ. ჰ. ქოჩოიანს.

ვინაიდან ეს წერილი მარტო პირადი ხასიათის არ არის, ნება მიბოძეთ, ვასილ ჰაიკის ძის ნებართვით, წავიკითხო იგი სწორედ ახლა, ამ საიუბილეო დღეს.

ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილმა წაიკითხა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის წერილი, რომელშიც გამოთქმულია გულწრფელი წუხილი იმის გამო, რომ არა აქვს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს ვაპან ტერიანის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულობაში.

ვაპან ტერიანის, სომხური ლირიკის ამ ჭეშმარიტი ჯადოქრის სახელი, რომელმაც სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა სომხური პოეზიის ისტორიაში, უსაზღვროდ ძვირფასი და ახლობელია არა მარტო სომხეთთვის, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. ვაპან ტერიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი ფართოდ აღინიშნება მთელ ქვეყანაში.

ვაპან ტერიანის, ქართული მიწა-წყლის ამ სომეხ შვილს, ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: „როგორც პიროვნება ქვეყნდება და კვდება მარტობაში, ისე ერიც.

— წერდა იგი. — ერების განვითარება და პროგრესი განპირობებულია მჭიდრო ურთიერთობით, ურთიერთზეგავლენით.“

თვითონ ტერიანმაც უდიდესი წვლილი შეიტანა სომხურ-ქართული ლიტერატურული კავშირთა ურთიერთობის მატარებელში, რომელსაც სათავე საუკუნეთა სიღრმეში აქვს. სწორედ მას, ქართული ენის კარგ მცოდნეს, ეკუთვნის შოთა რუსთაველის პოემის პირველი სტროფების უბადლო თარგმანი სომხურ ენაზე. სწორედ მან დაწერა სტატია „აკაკი წერეთელი მოსკოვში“, რომელშიც გამოხატულია სომეხი პოეტის წრფელი და მხურვალე სიყვარული ქართველი ხალხისადმი. სწორედ მან შექმნა კრისტალური სიწმინდის ლექსები „თბილისური გაზაფხული“ და „შემოდგომა ჯავახეთში“, სადაც ხობტას ასხამს საყვარელ მხარეს, მაღლა მთებში, ცის ტატნობამდე ატყორცნილ მისთვის უსაყვარლეს სოფელ ვანძას. ასეთივე მწვერვალებს მიაღწია ვაპან ტერიანის პოეზიამაც.

არნახულად იცვალა სახე თქვენმა თვალწარმტაცმა მხარემ, ბოგდანოვკის რაიონმა, საბჭოთა ხელისუფლების წლე-

ბში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა აქ მართლაც და გასაოცარი ცვლილებები მოხდა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, კულტურულ მშენებლობაში. და ყოველივე ეს პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების, რაიონის ყველა მშრომელის დამსახურებაა, რომლებიც სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ შეუპოვარი, თავდადებული შრომით. სახელი და დიდება მათ!

ყოველივე ეს შედეგია კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვისა საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების აყვავებისათვის, მისი ყოველი კუთხის კეთილდღეობისათვის.

ბოგდანოვკის რაიონის დღევანდელ იერსახეში არის ვაპან ტერიანის — ლენინური გვარდიის ბოლშევიკის, რ. კ. პ. (ბ.) VIII ყრილობის დელეგატის, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების მონაწილის სულის ნაწილიც, ადამიანისა, რომელმაც დიდი ძალ-ღონე და ენერჯია შეაღია ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ტერიანის ფიქრები მშობელი ხალხის, მშობელი მხარის აყვავებას, მის ნათელ მომავალს დასტრიალებდა.

ეს ნათელი მომავალი დადგა. იგი დღევანდელობად იქცა. კიდევ უფრო მშვენიერი იქნება ბოგდანოვკის, მთელი თქვენი რეგიონის, მთელი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ზვალინდელი დღე.

მაშ, მოდით მოვასხლოვოთ ეს დღე. და ყოველთვის გვახსოვდეს ვაპან ტერიანი.

ამხანაგმა ჯ. თ. პატიაშვილმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ეღუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის წერილი ერთგვარად ავსებს იმას, რაც უთქვამს მას თავის გამოსვლაში ერევანში, სომხეთის მშრომელებთან თავის შეხვედრების დღეებში, საუბრებში კარენ სეროფის ძე დემირჩიანთან, რომელსაც იგი, როგორც ყველა ჩვენთაგანი, უგულწრფელესი, უგულითადესი გრძნობებით ეკიდება.

დღევანდელი დღე, ვაპან ტერიანის დღე, თავისებური გაგრძელებაა თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოსი, როცა განსაკუთრებით გულში ჩამწვდომად ითქვა სომეხი და ქართველი ხალხების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და ჭეშმარიტი ძმობის ისტორიულ

17-971

ფესვებზე. დღევანდელი დღე განაგრძობს საიათნოვას დღეს, როცა თბილისში, მაისის ბოლო კვირას, ვარდების დღესასწაულზე ცოცხალი ყვავილებით ამკობენ საფლავს ამ დიდი აშუღისას, რომლის სახეც სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საუკუნოვან ძმობას განასახიერებს.

ვაჰან ტერიანის დღეს თავისი დასაწყისი აქვს, მაგრამ არა აქვს დასასრული.

ტერიანის პოეზია სპეტაკი და კეთილშობილი სულის საგალობელია. მან სომხური პოეზიის ისტორიაში დასაბამი დაუდო მთელ ეპოქას, რომელიც „ტერიანის ეპოქად“ იქცა. ტერიანის შემოქმედებამ შეისისხლნორცა მთელი სიმდიდრე, ყოველივე საუკეთესო, რაც კი რამ აქვს სომხურ კულტურას, და არა მარტო მას.

პოეტი, მოქალაქე, ნამდვილი ადამიანი. ასეთი იყო ტერიანი. ასეთად დარჩება ჩვენს გულში მებრძოლი პოეტის პიროვნება. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ეს არის ბრძოლა, მუდმივი წვა. მშობელ მიწა-წყალს, მშობელ ხალხს, მის გულისთქმასა და იმედებს, მის ოცნებას უკეთეს მომავალზე მიუძღვნა თავისი ქნარი მგოსანმა და მთელი თავისი ძალ-ღონეც მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას შეაღია. ტერიანი რევოლუციის მებრძოლი და მისი მეხოტბე გახდა. ამკვიდრებდა რა რევოლუციური ჰუმანიზმის მაღალ იდეებს, პოეტი ამბობდა: „მე შენ გიმღერი თავდავიწყებით, თავისუფლების დროშავ, წითელო...“

მან კარგად უწყაოდა, რომ „დროა ბრძოლაში ვუხმობდეთ ტოლებს, ჩვენს სამართლიან დიად ბრძოლაში, თავისუფლების ცეცხლით ვინთებით!“. და იგი პირობას დებდა: „და არ შევედრებით გადამწყვეტ ომში!“.

რევოლუციას რომ ეზიარა, ვაჰან ტერიანი, საკუთარ თავზე და თანაპარტიელ, თანამებრძოლ ამხანაგებზე წერდა: „მე მომიწოდებს ჩემი შეგნება, რომ ცეცხლში ვჭედო სიტყვის მაღანი, თქვენი ბრძოლების ვიდეგ შემქებად, თქვენს ძლიერ რიგში ვიყო ჩამდგარი“.

დღევანდელი დღე საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებული სომეხი ხალხის სასიყაძულო შვილისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის უბრალო დღე როდია. არა! ეს დღე კიდევ ერთი რგოლია ჩვენი მოძმე ხალხების, ჩვენი ლიტერატურების, ჩვენი კულტურების ურთიერთმოქმედების, ურთიერთგამდიდრების მტკიცედ ნაჭედ ჯაჭვში.

თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი ადამიანი, ბევრი ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, ვაჰან ტერიანი თითქოს საგანგებოდ იყო მოვლენილი მაღალი მისიისათვის, — გამხდარიყო ოქროს რგოლი კულტურათა შემოქმედებითს კავშირურობისათვის. მან სახელოვანი ფურცლები შემატა ჩვენი ხალხების მეგობრობის მატრიანს.

ეს მატრიანე დღესაც გრძელდება.

პოეტის საიუბილეოდ დაიბეჭდა მისი ლირიკის საუცხოო ქართული თარგმანების კიდევ ერთი კრებული, რომელიც თბილისში გამოსცა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ.

შარშან კი ერევანში დაიბეჭდა წიგნი „ქართველი მწერლები სომხური ლიტერატურის შესახებ“, რომელშიც მოყვანილია მრავალი დაუფიქსარი ცხოვრებისეული ფაქტი, ამაღლევბელი დოკუმენტი, რომელთაგან თითოეული მკაფიოდ გამოხატავს იმას, რაც საფუძვლად უდევს ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას — ძმობას!

როგორ არ გავიხსენოთ აქ კვლავ აეკი წერეთლის იმ ლექსის სტრიქონები, რომელიც გაბრიელ სუნდუკიანს ეძღვნება და მოცემულია ამ ძმობის პოეტური ფორმულა: „შენ სომეხი ხარ და მე ქართველი, მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა, ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის, ერთ მიდამოსი და ერთი მთისა“.

აი, აქ არიან ისინი, ჩვენს წინაშე — საუკუნოვანი მთები, მშვენიერნი და მშობლიურნი.

აქ ყველაფერი ძვირფასი იყო ტერიანისათვის. მას მხურვალედ უყვარდა მშობლიური სოფელი, ეს თვალწარმტაცი კუთხე, სადაც მისი პოეტური მუხის აკვანი დაირწა. ჭაბუკობიდანვე ხიბლავდა მას მშობლიური ბუნება, მუდამ ტკებობდა „ოქროსფერი ღრუბლებით“, „იისფერი დაისით“, „მობიბინე მინდვრებით“, „მიუწვდომელი, ზვიადი მთებით“, „მზიანი და მშვიდი ველებით“.

მის სულში სამუდამოდ აღიბეჭდა დედის სათნო სახე, მყუდრო მამისეული სახლი, მბუტბავი სინათლე ქოხებიდან, მწყემსების გაჩაღებული კოცონი, წარწერები ქვის ფილებზე, ძველი თქმულებები, უდრეკი, კეთილი, მამაი ქალხი, რომლის სიყვარული და ერთგულება ტერიანმა მთელი სიცოცხლე ატარა და მის უკვდავების ფილოსოფიას ამკვიდრებდა.

ტერიანმა იცოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ: „ღამის ბინდს დაშლის სიცოცხლე, და გახარებული სამშობლოს ცაზე ჭახჭახა მზე გამობრწყინდება!“

მზედ დასჩახახებს სიცოცხლე სომხეთს, ახლა აყვავებულ ქვეყანას. სიცოცხლე უღიმის დღეს ბოგდანოვკას — საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე რაიონს.

ახლა ტერიანის ოცნება. პირდაპირ თვალწინ იცვლება თქვენი ქალაქის, თქვენი რაიონის, თქვენი სოფლის იერი, და იმათთვის, ვინც ხშირად არის ხოლმე თქვენს მხარეში, და მათ შორის ჩემთვისაც, ეს განსაკუთრებით შესამჩნევი და სასიამოვნოა.

რა თქმა უნდა, აქ შესამჩნევი ცვლილებები ხდება, შედარებით მოკლე ვადაში ბოგდანოვკის რაიონი, ჯერ კიდევ არცთუ ისე შორეულ წარსულში რესპუბლიკის და, კაცმა რომ თქვას, მთელი ქვეყნის ჩამორჩენილი განაპირა მხარე, გადაიქცა დიდ აგრარულ-ინდუსტრიულ რეგიონად, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

კარგი პერსპექტივები ესახება რაიონს მომავალში. და ჩვენ ვიცით, მტკიცედ გვწამს, რომ ამ მომავალს მოახლოვებთ თქვენი შრომით, შეუპოვარი და თავდადებული გარჯით, უწინარეს ყოვლისა, ღირსეულად შეხვდებით ჩვენი პარტიის XXVII ყრილობას.

ამის თავდება თქვენი რაიონის მშრომელთა გამარჯვება, დაუღალავი მარჯვენა. ამის საწინდარია თქვენი ერთიანი, მჭიდროდ დარაზმული, ინტერნაციონალური

ოჯახი, სადაც ერთსულოვნად ცხოვრობენ და ენერგიულად ირჩებიან სომეხი, ქართველები, რუსები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

და ესეც ვაჰან ტერიანის ოცნებებს ახლომა. იყო რა ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატისა, მან ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიაში კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ ვზიარებოდით დიდი რუსი ხალხის კულტურას.

სწორედ რუსეთს უკავშირებდა ტერიანი სომხეთის აღორძინების იმედებს და ხაზს უსვამდა, რომ რუსეთის სიყვარული და მისდამი სიმპათია ტრადიციულია ამიერკავკასიელი ხალხებისათვის, რომლებიც, მისი თქმით, ყოველთვის გრძნობდნენ გუმანით, „თუ რომელი გზაა მათთვის სწორი“.

დღეს ჩვენ ვამბობთ: ეს გზა ერთია — ყველა საბჭოთა ხალხის კავშირი რუსეთთან — სამარადყამოდ!

„ერებისა და ეროვნებების აყვავება — თქვა ამხანაგმა მ. ს. ვორბანოვმა, — ორგანულად ეხამება მათ ყოველმხრივ დაახლოებას. თითოეული ადამიანის შეგნებასა და გულში ღრმად დამკვიდრდა გრძნობა, რომ იგი ეკუთვნის ერთიან ოჯახს — საბჭოთა ხალხს, როგორც ახალ, ისტორიაში არნახულ სოციალურ და ინტერნაციონალურ ერთობას.“

ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIII პლენუმზე აღინიშნა, მართლაც უდიდესი მუშაობა გაწეული ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფისათვის, შექმნილია მართლაც რომ საინტერესო, მრავალმხრივ უნიკალური გამოცდილება. და ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში ჩვენ განვაგრძობთ გზას, ვივლით წინ, და ყოველნაირად გავაფართოვებთ და განავითარებთ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მშრომელების, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობას და ძმურ ურთიერთობას.

და ეს იქნება ვაჰან ტერიანის საუკეთესო ძეგლი.

ტერიანის ხსოვნა ჩვენთან ერთად ცოცხლობს. იგი ცოცხლობს სახლში, სადაც მგოსანი დაიბადა, ტერიანის მუზეუმში, რომელიც ეს-ეს არის დავათალიერეთ, ტერიანის ქუჩაზე, რომელზეც ჩვენ გამოვიარეთ, მშენებარე კულტურის სახლში, რომელსაც მისი სახელი მიეკუთვნება.

ამბობენ, განძაში, ყველაზე გაგრძელებული სახელი ვანიკაია. ასე ეძახოდნენ ბავშვობაში ვაჰან ტერიანს. მაშ, დაე, თქვენს სოფელში, იყოს მეტი ბიჭუნა სახელად ვანიკი. და დაე, ყველა ისინი ღირსეულად ატარებდნენ ამ სახელს.

დიდება ვაჰან ტერიანს!

დაე, მტკიცდებოდეს და მარად ცოცხლობდეს საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა!

გაუმარჯოს ლენინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!



№8 (584) აპრისკო, 1985

ეურნალი გამოდის 1988 წლიდან

**ყოველთვიური საოცარდოვარი-  
პოლიტიკური და სალიბერალური-  
სამხატვრო ჟურნალი**

**ნ ო მ ე რ უ ი ა:**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ჯ. ი. კატიაშვილის** სიტყვა.

**ვასილ გვეტაძე**, ოთარ დემეტრაშვილი — მიზანი ნათელია!

**გივი ჯახუა** — ტექნიკური პროგრესი წარმოების ფრთხილი...

**კონდრატი შილავა** — საქართველომ დამილოცა გზა.

**მამუკა შეღებია** — ეკონომის მემბრანა.

**რევაზ მიშველაძე** — ნოველა.

**მ. იოკაი** — არაბი და ესპანელი (საზღვრაკო ნოველა).

**ხუბა ბერულავა** — ურემი მიჭრიალვდა ქარიატისკენ (მოთხრობა).

**ვლადიმერ შილავა** — დილით (ლექსი).

**ტირანტი ჭანია** — ლექსები.

**მანია ველუტაშვილი** — კვლავაც გვასახელებენ.

**მიკოლა ოლინიკი** — ძმარ, ძმითა ხარ ძლიერი!

**ზურაბ ლორთქიფანიძე** — ეს გვგენიერი ეზო და სახლი (ლექსი).

**გიორგი შეთქაური** — ორი ლექსი.

**სიმონ ნაციაშვილი** — გმირული ბრძოლები ეპიკოლოგი.

**უცხოური იუმორი** (თარგმანი გიორგი ჯაბაშვილისა).

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

**მთავარი რედაქტორი**

**ხუბა ბერულავა**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ვლადიმერ ბახტაძე** (პ.მ. მდივანი), **ვასილ გვეტაძე**, ნათელა გიორგობიანი, თინათინ გომოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), **ოთარ დემეტრაშვილი**, სერგო ლურჯიანი, ვახტანგ ეხვანდია, **ოთარ თურქია**, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), **ლადო სულაბერიძე**, ილია ტახალა, **ნუგ. ჯაბაშვილი**, **ფოტოგრაფი**, გიორგი ჩაჩვიანი, **უჩა ჯაბაშვილი**.



საუბარი მეშახტეებთან.

# მიზანი ნათელია



ტყვარჩილელები სტუმრად ტყიბულელ მეშახტეებთან.

• ჟურნალ „დროშის“ სპეციალური კორესპონდენტები, მწერლები ვასილ გვეტაძე და ოთარ დემეტრაშვილი ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ოთარ მარგალიტაძეს**.

— პატივცემულო ოთარ, რა მიზნებით ეგებება ქალაქის მრეწველობა ხუთწლიდის დამამთავრებელ წელს?


— ტყიბულში 18 სამრეწველო საწარმო გვაქვს. მათი საერთო პროდუქციის მოცულობა წელიწადში საშუალოდ 94-96 მილიონ მანეთს გვაძლევს.

მოდით, დავანაწევროთ: ქვანახშირის საწარმოები წელიწადში 32 მილიონ მანეთს ანუ მთელი პროდუქციის 33 პროცენტს გვაძლევს; კვების მრეწველობის საწარმოები — 38 მილიონ მანეთს ანუ

მთელი პროდუქციის 40 პროცენტს; დანარჩენი ხვედრითი წილი მოდის სამკერვალო ნაწარმზე, ტრანსფორმატორებზე, გრანიტსა და საშენ მასალათა სხვა პროდუქციაზე.

ტყიბულში 45 სახეობის ნაწარმი მზადდება. შორს გაითქვა სახელი ჩვენმა გრანიტის მოსაპირკეთებელმა ფილებმა, რკინა-ბეტონის ნაკეთობებმა, ტრანსფორმატორებმა, ბაიხის ჩაიმ, სახალხო მოხმარების სხვადასხვა ნაწარმმა.

განვილოთ ოთხ წელიწადში ქალაქის მრეწველობამ გვემის ზევით 16,2 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. წარმოების მოცულობის ზრდამ გვემიური 9,7 პროცენტის ნაცვლად 13,2 პროცენტი შეადგინა.





წარჩინებული მეშახტეები (მარცხნიდან): ანზორ გვენეტაძე, ნუგზარ რიუამაძე, ალექსანდრე ხელაძე, მერაბ ფხალაძე, გურამ ბერუაშვილი და გიორგი ქურციკიძე.

თვალსაჩინო წარმატებას ძირითადად შრომისნაყოფიერების გაზრდით მივაღწიეთ. 1980 წელთან შედარებით შრომისნაყოფიერება 10,8 პროცენტით გაიზარდა. მუშის საშუალო თვიური ხელფასი 213 მანეთიდან 246 მანეთამდე ავიდა. ეს მაჩვენებელი მალე 255 მანეთს მიაღწევს. ხუთწლედის ბოლო წელს ქალაქის მრეწველობა გეგმის ზევით 2 მილიონ მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. გადაჭარბებით შესრულება რეალიზაციის გეგმა. პროდუქციის საერთო მოცულობა 97,5 მილიონ მანეთამდე გადიდდება.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ქალაქ ტყიბულის სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივის ინიციატივის შესახებ“. რას გვეტყვი ამის თაობაზე?

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებმა, იმ დებულებებმა და დასკვნებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის გამოსვლებშია მოცემული, უდიდესი შემოქმედებითი აქტიურობა გამოიწვია მშრომელებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უპირველესი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენგან მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების მართვის შემდგომ გაუმჯობესებას, დაგეგმვის სრულყოფას, მატერიალური სტიმულირების დახვეწას, შრომის ორგანიზაციის გონივრულად წარმართვას, მშრომელთა ინიციატივის მაქსიმალურად გამოყენებას...

სახალხო-სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, — ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის ამოცანის ხორცშესხმა, საერთო-სახალხო საქმედ იქცა.

ტყიბულელი მეშახტეები თავიანთი პატრიოტული თაოსნობით დროულად ჩაებნენ შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების საერთო-სახალხო საქმეში.

ტყიბულის სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე უბნის გვირაბამყვანმა ჯორა მერკვილაძემ, რომელიც საწარმოს ეკონომიკური სკოლის მსმენელია, წამოაყენა თაოსნობა — „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის ყრილობას!“.

შახტის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ პატრიოტულ თაოსნობას. მათ სხვებმაც აუბეს მხარი.

მეშახტეებმა გადაწყვიტეს, საწარმოო სიმძლავრეთა სრული ათვისებით, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით, გეგმის გადამეტებით ამოიღონ 3,2 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოუშვან 7 ათასი ტონა კონცენტრატი, მიაღწიონ 120 ათასი მანეთის ეკონომიას, დაზოგონ 250 ტონა პირობითი სათბობი, 120 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და სამი დღე დაზოგვილი რესურსებით იმუშაონ.

ტყიბულელი მეშახტეები ქვანახშირის მოპოვების ხუთწლედის გეგმას მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტყიბულელ მეშახტეთა თაოსნობა — „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის ყრილობას!“ წამოყენებულია წინადადება, ეს თაოსნობა რესპუბლიკის ყველა შრომით კოლექტივში გავრცელდეს.

შრომითი კოლექტივების აქტიურობა, ცხადია, საიმედო ბალავარია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

— რა კეთდება ქალაქის სახალხო მეურნეობის დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაწინაურებისა და მისი დაჩქარების უზრუნველსაყოფად?

— ქალაქისა და მისი ზონის პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, თითოეული მუშისა თუ შრომითი კოლექტივის უპირველესი მიზანია ახალი ტექნიკის დაწინაურება, პროგრესული ტექნოლოგიის ათვისება, ხელით შრომის ხვედრითი წილის

შემცირება, შრომისნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და მისი თვითღირებულების შემცირება.

ამ უპირველესი მიზნის გადასაწყვეტად ახლა ქმედითი ღონისძიებანი დატარდება გამომგონებელთა, ტექნიკანა-ინჟინერთა, საინჟინრო სამსახურის შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში აქტიურ მუშაობას ეწევა პარტიის საქალაქო კომიტეტთან ჩამოყალიბებული საწარმოებისა და დარგების განვითარების საბჭო.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად საბჭომ უკვე განიხილა ტყიბულის ქვანახშირის შახტებში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაწინაურების საკითხი. ჩატარდა გამსვლელი ტექნიკური სემინარები. შეისწავლეს ქვანახშირის კომპლექსური მოპოვების დაწინაურებისათვის შემუშავებული ტექნოლოგიური საკითხები, შახტების განიავების სქემები, საწარმოში დასაწინაურებელი საფენე გამოანამუშევრების სამაგრიების ახალი კონსტრუქციები...

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის გაწეულ მუშაობას სისტემატურად იხილავს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიურო.

პირველი წარმატებები უკვე გვაქვს.

აი, თუნდაც ერთი საგულისხმო მაგალითი: ყველა შახტში ლავის მომზადებისათვის მოწინავე გამკვეთების გაყვანა აქამდე ყრუ საწარმოებით წარმოებდა. ასეთ პირობებში თითო გამკვეთის გაყვანას, სულ ცოტა, 4-5 დღე სჭირდებოდა. სურათი შეიცვალა. დამხმარე მოწინავე გამკვეთის გაყვანა ახლა ჰაბურლიების საშუალებით წარმოებს.

გამკვეთის გაყვანაზე მექანიზაციის დაწინაურება დიდი ეფექტი მოგვცა. მძიმე ხელით შრომისგან განთავისუფლდა 30 კაცი, დაიზოგა დრო, წელიწადში 50.000 მანეთ ეკონომიას მივიღებთ.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარება, სახალხო-სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, წარმოების ტექნიკური განახლება იოლი საქმე როდია. მძიმე და საპატიო ამოცანის წინაშე ვდგავართ. წარმატება სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ღრმად შესწავლისა და გამოყენების საფუძველში უნდა ვეძიოთ.

— რას გვეტყვი, იდეოლოგიური მუშაობის შესახებ?

მთელი ყურადღება ახლა მშრომელთა იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისკენ წარვმართეთ.

იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი ამაღლების საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტიული და ეკონომიკური სწავლება.

სწორედ ეკონომიკური სკოლის მსმენელი ვახლდათ გვირაბამყვანი ე. მერკვილაძე, რომლის მუშაობის სინდისით ნაკარნახევი პატრიოტული თაოსნობა მშრომელებმა ერთხმად აიტაცეს.

ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია იყო და კვლავაც არის მასებთან პარტიის კავშირის ერთ-ერთი სტაბილური ფორმა.

ჩვენი აგიტატორები, პროპაგანდისტები, იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკი განუშორებლად მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს.

აქვე მინდა აღვნიშნო ის წვლილი, რომელიც ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა

და სახალხო დეპუტატთა საბჭოს ორგანოს გაზეთ „ტყიბულს“ შეაქვეს მშრომელთა კომუნისტური სულისკვებით აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მეტად კარგი საქმე გააკეთა, როცა იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით მეშახტეთა ქალაქების ტყიბულის და ტყვარჩელის შეფობა იკისრა.

განყოფილებიდან გვეწვივნენ ხელმძღვანელი ამხანაგები. გაეცნენ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობას. გაგვახსენეს. ქმედითი დახმარება გაგვიწია მათმა საქმიანმა მითითებებმა, რჩევამ, აზრის გაზიარებამ.

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ შემუშავებულია კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის სხვადასხვა საკითხი.

ეს საკითხები ითვალისწინებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, მეშახტეთა პროფესიის პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას, ცხოვრების საბჭოთაო წესის უპირატესობის პროპაგანდას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსს.

მიზანი ნათელია: ტყიბულელმა მეშახტეებმა თავიანთი მოუღლეელი მარჯვენა, მუშური გული და ერთუზიანში აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა ხორცმცხმას უნდა მიუძღვნან.

### — რა კეთდება მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად?

— ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის უმაღლესი მიზანია.

ჩვენი ყოფიდან დავეკრდეთ რამდენიმე საგულისხმო მაგალითს.

მეთერთმეტე ხუთწლეულში ქალაქ ტყიბულსა და მის ზონაში დიდი სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური დაბანდების მოცულობა. ზედიზედ ჩაღდა მწყობრში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კეთილმოწყობილი ობიექტები.

განვიღო პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა 42.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამუშავდა კავშირგაბმულობის კვანძი, საბაგირო გზა, ცენტრალური საქვაბე მეურნეობა. ამას დაუმატეთ ახალი სკოლა, საბავშვო ბაღი, სამკერვალო ფაბრიკა...

მშრომელები მიიღებენ ბუნებრივ ვაზს. გასულ წლებთან შედარებით ხუთწლედის დამლევსათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება...

ვცდილობთ, ჩვენს სახელოვან მეშახტეებს კულტურული დასვენებისა და გართობის პირობები შევუქმნათ. დიდი ყურადღება ეთმობა ტურისტებს, კულტმასობრივ და სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი ქმედითი ღონის-

ძიებანი დასახეს ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის, მეშახტეთა წახალისებისათვის, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მატერიალურმა სტიმულირებამ, მეშახტის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებამ, დღენიდაგ ზრუნვამ თავისი სასურველი შედეგი გამოიღო. უკანასკნელ ხანებში 9 პროცენტით გაიზარდა მეშახტეთა კადრები, 6 პროცენტით — კომკავშირელთა რაოდენობა, 16 პროცენტით იწყინერ-ტექნიკურ პერსონალთა რიცხვი.

ტყიბული ამყოფს თავისი სახელოვანი მეშახტეებით. აი ზოგიერთი მათგანი: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი სპირიდონ ბირკაია, საკავშირო პროფსაბჭოს წევრი გაიონ ციციქიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ვასილ მესხორაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლევან კირკიტაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-9 და მე-10 მოწვევის დეპუტატი ევტიხი სვანიძე, ბოლო მოწვევის დეპუტატი ელდარ ჩაფიძე.

ისინი ბევრნი არიან. მიზანი ერთი აქვთ: თავდადებული შრომით პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობანი.

ასეა! ტყიბულელი მშრომელები შრომაში მოპოვებული წარმატებებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

## ტყიბულელი მოლდაველები

ღიან, ასე ეძახიან მათ, დიდი სამამულო ომის დღეებში აქ, ტყიბულში, დასახლებულ მოლდაველებს. თავიანთი ერთგული ტანსაცმლით გამოჩნდებიან ხოლმე ისინი მეშახტეთა ქალაქში და ყველას ახარებს მათი დანახვა.

ძმა ძმითაა ძლიერო, — უთქვამს ქართველ კაცს და ამ ანდაზის სიბრძნე და სიმართლე საქმით დაუმტკიცებია: გულით შეუყვარებია მოყვარე და მისთვის ოჯახის კარი ფართოდ გაუღია.

მოლდაველი გრიგოლ ბობოკი ჭაბუკი იყო, როცა ტყიბულში ჩამოვიდა. ლენინის სახელობის შახტში დაიწყო მუშაობა. დაცოლშვილდა. ქალიშვილი შეეძინა. დღეს იგი ბაბუა და შვილიშვილებში ხარობს. მინიჭებული აქვს „საპატიო მეშახტის“ წოდება.

მოლდავეთიდან ჩამოსულმა გრატინია კირიაკმა მუშაობა დაიწყო ქვანახშირის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრი-

კაში და დღესაც სასახლოდ შრომობს, ოღონდ სხვა ადგილზე — ამავე ფაბრიკის ფუჭი ქანის გადაშიდი ჯალამბრის მემანქანაა.

პეტრე იამანდი თუმცა უკვე პენსიაზეა გასული, ისევ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბანში. მის შრომით კალენდარზე ახლა მეთორმეტე ხუთწლეულია დაწყებული.

პეტრე სარაჩანმა, რომ იტყვიან, ფეხი ამ მიწაზე აიღვა. დავაუკაცლა და საქმეს, ქართველ მეგობრებთან ერთად, საგულდაგულოდ შეეჭიდა. ამჟამად პენსიონერია და დამსახურებულად სარგებლობს ყველა სიკეთით.

სურათზე თქვენ ხედავთ „ტყიბულელ მოლდაველებს“. მარცხნიდან პირველი, ბავშვი რომ აუტატებია ხელში, გრიგოლ ბობოკი გახლავთ, მის გვერდით გრატინია კირიაკი დგას. იქვეა ვასილ იამანდი და პეტრე სარაჩანი.



ტყიბულელი მოლდაველები (მარცხნიდან): გრიგოლ ბობოკი, გრატინია კირიაკი, ვასილ იამანდი და პეტრე სარაჩანი.

ფოტოგრაფი სერგო სოფრომაძისა.

# გეოგრაფიის თაოსნობა



სერგო ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე გამყვანი შორა მერკვილაძე.

ორჯონიკიძის სახელობის შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ეკონომიკური სკოლის პროპაგანდისტი ომარ ქათამაძე მორიგ მეცადინეობას ატარებდა. საინტერესოდ, გასაგებად ისაუბრა მან მეშახტეთა ყოველდღიურ საქმიანობაზე. იმ პრობლემებსაც შეეხო, თითოეული სპეციალისტის წინაშე რომ დგას და პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობისათვის მზადებასთანაა დაკავშირებული.

პროპაგანდისტმა კონკრეტული, ცოცხალი მაგალითებით ნათელყო კოლექტივის ყოველი წევრის როლი და მოვალეობა სადღეისო თუ სამომავლო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. მსმენელებს ურჩია, ერთხელ კიდევ გულისყურით გადასინჯონ თავიანთი გეგმები, დასაბუნს ახალი ამოცანები, ყველაფერი გააკეთონ, რომ მეთორმეტე ხუთწლეულის პირველი ორი თვის დავალება ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ, ხოლო მიმდინარე წლის გეგმა — 7 ნოემბრისათვის.

სიტყვა მოითხოვა შორა მერკვილაძემ, სკოლის მსმენელმა. მესამე უბნის გამყვანმა, რომელსაც მიწისქვეშა გზამკვლევის სახელით იცნობენ ტყიბულელი მეშახტეები.

— ამხანაგ გორბაჩოვის მოხსენებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, რომელსაც ჩვენ გულისყურით ვსწავლობთ, ყველა ჩვენთაგანი ჩააფიქრა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნათლად დაგვანახა დღევანდე-

ლი დღე — მისი კარგითა და ნაკლოვანი მხარეც.

შემდეგ ცნობილმა მეშახტემ მოუწოდა ეკონომიკური სკოლის მსმენელებს, თავთავიანთ უბნებზე იმუშაონ მაღალნაყოფიერად, კეთილსინდისიერად, ისე, როგორც ეს მეშახტის სახელსა და ღირსებას შეეფერება.

ამისათვის აუცილებელია ქვანახშირის გადამუშავების ტექნოლოგიური წესების მტიკედ დაცვა, სამუშაო საათების სრული დატვირთვით გამოყენება, ტექნიკურ სიხლეთა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გაბედული დანერგვა. ამით თითოეული მეშახტე შეძლებს, სულ მცირე ერთი-ერთნახევარი ტონა ქვანახშირი მაინც ამოიღოს გემის გადამეტებით.

მსმენელებმა მოიწონეს ეს წინადადება.

ასე დაიბადა ეკონომიკური სკოლის მსმენელთა კიდევ ერთი ახალი თაოსნობა — „მთელი საწარმოო პოტენციალი ლენინური პარტიის ყრილობას“.

იგი სწრაფად გავრცელდა ტყიბულის ყველა შახტში, ყველა საწარმოში.

ამ თაოსნობის ავტორი — ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე უბნის ეკონომიკუ-

რი სკოლის მსმენელი, მიწისქვეშა გზამკვლავი შორა მერკვილაძე წარსდგა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ეს თაოსნობა და მიიღო დადგენილება რესპუბლიკის საწარმოებში მისი ფართოდ გავრცელების შესახებ.

შორა მერკვილაძე ტყიბულელ მეშახტეთა დინასტიის წარმომადგენელია. მისი მამაც შახტში მუშაობდა და დიდი სამამულო ომის დროს ფრონტზე დაიღუპა.

ეს ხალისიანი და ენერგიული ადამიანი, სამაგალითო შრომაში, ზედმიწევნით ფლობს მეშახტის ყველა მომიჯნავე პროფესიას. შეუძლია ყველაფერი თვითონვე გააკეთოს,

რაც შახტთანაა დაკავშირებული.

ამას წინათ გაჭირდა უბანში საქმე. ილეოდა ლავში მოსანგრევი ქვანახშირი. საქმეს მხოლოდ ასი გრძივი მეტრი შტრეკის სასწრაფო გაჭრა და ახალი ლავის მომზადება შეელოდა. აკაკი რობაქიძესთან, ასევე წარჩინებულ მეშახტესთან ერთად, მან ეს შტრეკი ნაცვლად ოცდაათი დღისა, ოცდარვა დღეში გაჭრა და ლითონის კონსტრუქციით საიმედოდ გადაამაგრა.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და მიწისქვეშა გზამკვლავი, ხუთწლეულის დამამთავრებელ წელსაც მაღალნაყოფიერად შრომობს. მის პირად შრომით კალენდარზე კარგა ხანია 1986 წლის დეკემბერი დაიწყო.

## მარკა — „ტყიბული“

ბევრი რამ კეთდება ქალაქში მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ამის ერთი მაგალითია ის სიახლენი, რომელიც პურის კომბინატში დაინერგა.

აქაური პური და ფუნთუშეფული ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მაღალი საკვები ღვინებებითა და ხარისხით. მაგრამ ის, რაც ახლა ხდება აქ, კიდევ უფრო მეტი მაღლიერებით განაწყოებს მომხმარებელს.

გაიხსნა ახალი საკონდიტრო საამქრო, რომელიც უშვებს თერთმეტი დასახელების ფუნთუშეფულსა და თოთხმეტი დასახელების ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმს.

ამ სასიკეთო საქმის წამომწყები და განმახორციელებელი თვითონ პურკომბინატის კოლექტივია.

ამავე გზით განხორციელდა გამოუყენებელ სათავსოში ქართული პურის მექანიკური საცხობის მშენებ-

ლობა, სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

ხორცს ისხამს კიდევ ერთი სიახლე — სიმინდის ღერძილის ბურბულელას ახალი ტექნოლოგიით დამზადება.

### სამთო მუშაუმი

ტყიბულში, იქ, სადაც მაიკოვსკის ქუჩა იწყება, ერთი შემადგენელი გორაკია. ადგილმდებარეობა კი გამორჩეული სილამაზისა რგებია ამ გორაკს, მაგრამ მის ზემო ნაწილში აღმართული ძველი შენობა, მაინცდამაინც თავს ვერ მოიწონებდა გარეგნული სახით.

ყველა გრძნობდა, რომ ასეთი ადგილი ლამაზი, ახლებური სტილის არქიტექტურული ნაგებობისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა.

და აი, მოვიდნენ მშენებლები, ძველი, უღალატო სახლი დანგრეიეს, მიწა მოასუფთავეს და ბალავარის გათხრას შეუდგნენ. დაიწყო დიდი და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობის მშენებლობა, რომელიც ტყიბულის სამთო საქმის მუზეუმისთვისაა განკუთვნილი.

ვრცელი საგამოფენო დარბაზები დეთმოზა საქართველოში, კერძოდ ტყიბულში, მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან ქვანახშირის წარმოების ამსახველ ექსპონატებს.

წარმოდგენილი მასალებით დამთავალიერებელი გაეცნობა ქვანახშირის, ამ ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნედლეულის მნიშვნელობას; გაიგებს იმასაც, რომ მისგან სამასზე მეტი სხვადასხვა ნაწარმი მზადდება, რომ იგი პირველ რიგში გამოიყენება სათობად, მეტალურგიულ წარმოებაში, ფარმაცოლოგიაში, კვების მრეწველობაში.

შთამომავლობას თავს შეახსენებენ ადამიანები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ქალაქს, ქვანახშირის წარმოების საშვილიშვილო საქმეს. ღირსეული ადგილი დეთმოზა ვეტერანი მეშახტის პაპუმ ნანიკაშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ მასალებს: მას თავის დროზე უამრავი ექსპონატი შეუგროვებია, სტალინის სახელობის შახტის კლუბში მოუწყვია მეშახტეთა დიდების მუზეუმი-გამოფენა.

შემდეგ შახტის კლუბი დაუნგრე-

ვიათ და ის სახელდახლო გამოფენაც მოშლიდა.

მუზეუმში უხვად იქნება წარმოდგენილი მასალები ქვანახშირის ამოღების მეთოდებსა და ტექნიკაზე, ექსპონატები მეშახტის პირველი სამუშაო იარაღებიდან დაწყებული თანამედროვე ავტომატურ მოწყობილობამდე.


გაზეთ „ტყიბულის“ 25 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი, რომელიც დასათურებულია საერთო რუბრიკით „ქვანახშირის ამოღების პრობლემებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა“, გვაუწყებს:

...როგორც ცნობილია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეიმუშავა ხანგრძლივი სამუშაო გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებულია, ტყიბულში შეიქმნას სამთო საქმის განვითარების ისტორიის მუზეუმი. ეს საქმე დავეალა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტს, საწარმოო გაერთიანება „საქანახშირს“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს.



საპირთა რევოლუციური კვანძი — საპირთა გაღვივებით პრინციპულად ახალ ბაქნოლოგიურ სისტემაზე, უკანასკნელი თაობების ბაქნოლოგიის, რომელიც უმაღლეს ეფექტიანობას გვაქვამენ. სამე არსებითად ეხება მეცნიერებისა და ბაქნოლოგიის თანამედროვე მიღწევათა საუკეთესო სახალხო მუშაობის უმაღლეს დარგის განახლებას.

მ. ს. გორბაჩოვი.



# საქნიკური პროგრესი საჩინოების ურთიან...

ბივი ჯახუა,

„დროის“ საციალური კორმისკონდენტი.

ეს ხატოვანი გამოთქმა ხალხს ეკუთვნის. ამ ფრთხილ ძიებაშია დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელი კოლექტივი, ქარხნისა, რომელმაც თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე აღადგინა ქართული რვალის საუკუნოებით დამარხული დიდება.

მეტალურგია რთული დარგია, მისი მართვა ყოველდღიურ დაძაბულ შრომას მოითხოვს. წელს, პირველი კვარტალის მაჩვენებლებით, რუსთაველმა მეტალურგებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, დარგის მუშაკთა პროექტორების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს. სამშობლოს ეს დიდი ჯილდო რიგით მეცხრამეტა ბოლო 15 წელიწადში... ხდება ხოლმე ასე: ხანგრძლივ აღმავლობას ჩავარდნებიც თან სდევს... ასე მოხდა ბოლო 5 წლის მანძილზე. მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ საქართველოს შავი მეტალურგიის ფლაგმანი აღმავლობის გზაზეა. კოლექტივმა ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულა, გვეგის ვადამეტებით გამოშვებული 3 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

წარმატება წარმატებად, მაგრამ ცხოვრება უფრო მეტს ითხოვს, დროს თავისი მოთხოვნილებები აქვს.

დირექტორთან ჩვენს საუბარს შემოესწრნენ ქარხნის მთავარი ინჟინერი ვახტანგ მოსიაშვილი, ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკის მეცნიერების კანდიდატი ანზორ ლომაშვილი და ვეტე-

რანი მეფოლადე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი ვაჟა გვიგბერია.

დაწყებული საუბარი ქარხნის დირექტორმა გურამ ქაშაქაშვილმა განაგრძო:

— ამოცანა ფრიად სერიოზულია, პარტია ითხოვს სამრეწველო ფონდების სრულ გადახალისებას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის და აი რატომ: ჩვენი ქარხანა ოცდაათიანი წლების ტექნიკური აზრის ნაყოფია. მართალია, პირვანდელთან შედარებით მისი სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ ჩვენი საუკუნის აჩქარებული მაჩისცემა განვითარების ნელ ტემპებს ვეღარ ეგუება. არსებული აგრევატების მცირე მასშტაბის რეკონსტრუქცია დღეს უკვე ვეღარ იძლევა სასურველ შედეგებს. სწორედ ამან გამოიწვია წინა წლების ჩამორჩენა. და თუ სირთულეები დავძლიეთ, დიდი და დაძაბული შრომის შედეგად ეს წარმატებაც არ იქნება საიმედო, თუ მას ყოველდღიური შრომით არ განვამტკიცებთ. რაც მთავარია, საჭიროა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების რევოლუცია, ჩვენ თანამიმდევრული განვითარება კი არა, არსებითი გარდაქმნა გვეჭირდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე გამორჩევით გვისაყვებდურეს მეტალურგებს. ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტალურგიულ მრეწველობაში საწარმოთა ტექნიკური განახლებას ყურადღება არ ეთმობოდა. ეს ჩვენ, რუსთაველ მე-

ტალურგებსაც გვეხება. დღეს უკვე სულ სხვა სურათია. ამ რამდენიმე თვის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მოიწონა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმა. მომავალ მეთორმეტე ხუთწლეულში საამისოდ გამოგვეყო 90 მილიონი მანეთი. ეს უდიდესი ყურადღება და ზრუნვა აღაფრთოვანებს ჩვენს კოლექტივს. ამ მილიონების გარდა არის სხვა მილიონები. პარალელურად 40 მილიონი მანეთი გამოგვეყო სოციალური განვითარებისათვის; აშენდება კულტურისა და დასვენების კერები, ახალი საცხოვრებელი სახლები, სპორტული ბაზები, ყოველივე ის, რაც ადამიანებს სჭირდებათ ბედნიერი, შინაარსიანი, კულტურული ცხოვრებისათვის.

ქაშაქაშვილი წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო:

— ქარხნის რეკონსტრუქცია უკვე დაიწყეთ. მაგრამ მისი მასშტაბები სულ სხვა იქნება ახალი ხუთწლეულის პირველი დღეებიდანვე. მამაპაპური მარტენული ლუმელები ადგილს დაუთმობენ ელექტროფოლად-სადნობ ლუმელებს, დღევანდელის ტექნიკურ მონაპოვარს... მარტენულ ლუმელებთან ერთად ხელს ჩამოგვართმევენ და დაგვეშვიდობებიან კოქსიმიური, სააგლომერაციო, საბრძმედე და ყველა საგლინავი საამქრო. მილნაზადს მივიღებთ ელექტროსადნობი საამქროს უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარებიდან.

დღეისათვის საამქროებში ათასობით ადამიანი შრომობს. მკოქსავის, მეაგლომერატის, მებრძმედის, მემარტენის,

მგლინავის შრომა ძალზე მძიმეა. ესეც არ იყოს, მუშახელის დეფიციტი მდგომარეობას ართულებს. მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური პროგრესი გადაჭრის ამ პრობლემას. ამას კი დიდი დრო სჭირდება. ახალი ხუთწლეუდი ქარს მოგვადგა. უნდა ვიჩქაროთ. ამხანაგმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თქვა: „ხუთწლეულის გეგმის მომზადებისას ყველა დონეზე უნდა გამოვლინდეს ისეთი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო პროექტში მოცემული მაჩვენებლების უთუო მიღწევას, არამედ მათს გაუმჯობესებასაც. ნაკლები დანახარჯებით უნდა მივაღწიოთ უფრო მაღალ მიჯნებს“. ეს კი მიმდინარე ამოცანაა. ქარხნის დღევანდელი, თუ გნებავთ ხვალინდელი დღე. სანამ ქარხნის ძირეული რეკონსტრუქცია განხორციელდება, არსებული რეზერვებით უნდა გადაწყდეს კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანები.

დირექტორმა ქარხნის მთავარ ინჟინერს ანიშნა ახლა თქვენა თქვით სათქმელი და სიტყვა დაუთმო ვახტანგ მოსიაშვილს:

— უპირველეს ყოვლისა, უნდა დამთავრდეს ცალკეული საამქროებისა და კვანძების მიმდინარე ლოკალური რეკონსტრუქცია, ჩვენი სამინისტროს, კვლევითი ინსტიტუტების დახმარებით განისაზღვროს პირველი რიგის სამუშაოები „ვიწრო“ ადგილების სალიკვიდაციოდ. აუცილებელია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ამაღლება, მატერიალური და ფინანსური საშუალებათა კონცენტრაცია. გარდა ამისა, აქცენტი გადატანილია სარემო-

ნტო ბაზების სისტემის გაფართოებისაკენ. აღებულია გეზი, რომ მოწყობილობათა კაპიტალური რემონტები ჩატარდეს მხოლოდ გარკვეული მოდერნიზაციით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. დღევანდელი მეტალურგი თავისი ტექნიკური ცოდნის დონით, პროფესიული ოსტატობით, ბევრად აღემატება გუშინდელს, საამისოდ ბევრ ღონისძიებას ვატარებთ. კვალიფიკაციის ასაშლელად რეგულარულად ვაგზავნით ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მუშათა ჯგუფებს მოწინავე პროფილის საწარმოებში. ყოველდღიურად ვანვამტკიცებთ საწარმოო და შრომით დისციპლინას. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევენ შრომის ვეტერანები, მუშათა ახალი თაობის აღზრდის საქმეში მათი წვლილი ფასდაუდებელია. ისინი ჯგუფაფერს აკეთებენ, რათა უმტკივნეულოდ ჩაიაროს თაობათა ცვლის რთულმა პროცესმა, შეაყვარონ ახალგაზრდებს არჩეული საქმე, აამაღლონ მეტალურგის სახელი, ერთი სიტყვით, კოლექტივში დიდი ძვრები ხდება. ცენტრალური ლაბორატორიის უფროსმა, ანზორ ლომაშვილმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და უბის წიგნაკში რალაცას იწერდა, თითქოს მთავარი ინჟინრისაგან ესტაფეტა მიიღო, წიგნაკი მოკეცა და დაიწყო:

— მე მეცნიერებასთან თანამშრომლობის შესახებ მოგახსენებთ. იგი ფრიალ ფართოა და მასშტაბური. დონეცკის შავი ლითონების ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად შევქმენით და წარმოებაში დავხერგეთ პერლიტ-გრაფიტის შენახვის გამოყენებით ლითონის ჩამოსხმის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რაც უზრუნველყოფს სხმულის მაღალ თბოიზოლაციას და საგრძნობლად აუმჯობესებს მის ხარისხს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან ერთად დავამუშავეთ ფოლადის ეგრეთწოდებულ, ლუმელგარემე დამუშავების ტექნოლოგია, რის შედეგადაც მივიღეთ უკეთესი ხარისხის ფოლადი.

ავტორიტეტი მოუპოვა ჩვენს ქარხანას მილსაგლინავ საამქროში დამზადებული დიდი კვეთის პროფილური მართკუთხა მილების ტექნოლოგიამ. ეს სრულიად ახალი სიტყვაა სამამულო მრეწველობაში, ტექნიკური აზროვნების შესანიშნავი გამარჯვებაა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ძირითადად ჩვენი ქარხნის სპეციალისტებმა, მთავარი ინჟინრის მოადგილემ, ლენინური პრე-

მიის ლაურეატმა პავლე წერეთელმა, მილსაგლინავი საამქროს უფროსმა გიორგი მახარაძემ, გრიგოლ სალპეიტერმა, ვეტერანმა მვალცავმა ემელიან კურტანიძემ. როგორც სპეციალისტები ადასტურებენ, ეს ახალი მილები თავისი მაღალი ხარისხით მსოფლიოს ანალოგიურ პროდუქციას ბევრად აღემატება. ქარხნის ნათელი გონების ადამიანებმა, რომელთაც რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს უწოდებენ, წელს უკვე 3 მილიონი მანეთის ეკონომიკური ეფექტის სიახლე შესძინეს წარმოებას. და მაინც ხვალინდელი დღის დიდი იმედი გვაქვს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ეს დროსა და ეპოქის მოთხოვნაა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელმა ზრუნვამ წინ ახალი პერსპექტივა გადაგვიშალა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხები ის სწრაფი გადაჭრა, მართვის ავტომატიზებული სისტემის დაჩქარებული ტემპი. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა საპროექტო-სამეცნიერო ინსტიტუტ ავტომატიზაციის კოლექტივი, რომელმაც მრავალი მასშტაბური სიახლე შესძინა მილსაგლინავ წარმოებას, ასევე მრავალ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ფხვნილოვანი მეტალურგია. ქარხანაში უკვე მწყობარში ჩადგა ახალი დანადგარი, სადაც ფხვნილოვანი შენადნობების მეშვეობით მზადდება ზემტკიცე ინსტრუმენტები.

ჩვენი საუბარი ამით არ დამთავრებულა. როცა ქარხნის კოლექტივის მეთაურებს მოვუსმინე, ვეტერან ვაჟა გივიბერიას შევხედე. ჩემი შეკითხვისთვის არც დაუცდია, ჩვეული ხალისით დაიწყო:

— პირველი ქართული ფოლადის დაბადების მოწმე ვარ. უფრო ადრე ფოლადის დნობას დონეცკის მეტალურგიულ ქარხანაში დავეფუღე. ახლა ორმოცდამეორე წელი მისრულდება, რაც ამ დარგს ვემსახურები. ბევრი კარგი მახსოვს, წარუმატებლობაც გვქონია... გამარჯვებებს უფრო იშვიათად იხსენებს კაცი, რადგან შრომაში მოპოვებული სიხარული რეალურ საქმედ გვექცა... დღეს მაინც, სულ სხვა სურათია, სხვა ხალისი და სილაღე...

შარშან ჩვენთან გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ამხანაგმა ეღუარდ

ამბროსის ძე შევარდნაძემ მრავალი საჭირო შენიშვნა და მითითება მოგვცა. პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღებაში თავისი ნაყოფი გამოიღო და კიდევ გავიმარჯვებთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ისეთ საწარმოებს გავუსწარი, რომლებიც ათჯერ და უფრო მეტად აღემატებიან ჩვენს ქარხანას. ამ ვიგანტებთან გამარჯვება მართლაც რომ დიდებაა.

ძალებს ვგმატებს, ვგამხნევებს და გვაიმედებს ის, რომ დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი, ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვაზე.

უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება — ესაა საწარმოში მუშახელის ნაკლებობა. 1964 წელს ჩვენთან 12 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე იღვწოდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ტექნიკურმა პროგრესმა უმნიშვნელო კორექტივი შეიტანა მასში. ჩვენთან დღეს რომ ადამიანები არაან დასაქმებულნი, ეს რაოდენობა ორჯერ უფრო მძლავრ საწარმოს უნდა უძღვებოდეს.

მუშახელი ახლა ყველას უჭირს. ტექნიკა რისა ტექნიკაა, თუ ის არ შეგვეშველა ადამიანებს! ადრე ლუმელს მეფოლადეთა შვიდკაციანი ბრიგადა დასტრიალებდა, დღეს სამი

კაცი აკეთებს იმ საქმეს, მაღლე აღამიანთა ეს რაოდენობაც შემცირდება ტექნიკურ სიახლის სიკეთე თვის ახალ სიტყვას იტყვინ.

საწარმოო მდებარეობის ხასიათი თაობით, ახალგაზრდობამ პირი კვლავ ჩვენკენ იბრუნა. ოჯახური დინასტიებიც მოგვიმრავლდა. მე ჩემი უფროსი ვაჟი ქარხანაში მოვიყვანე. ცნობილი მეფოლადის მიხეილ სპანდერაშვილის ვაჟი, თამაზი, დღეს უკვე აღიარებული მეტალურგია. ძმები კაპანაძეები მესხეთიდან მოვიდნენ, სამნი არიან, ერთმანეთის მჯობნი. განსაკუთრებით გამოირჩევიან კომკავშირული საგზურით მოსული ახალგაზრდები, მათი ცეცხლი და შემართება ჩემი თაობის ახალგაზრდობის ენთუზიაზმს მაგონებს...

ვეტერან მუშას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, როცა კაბინეტში შემოვიდა დირექტორის პირადი მდივანი და გურამ ქაშაყაშვილს უჩურჩულა, მოვიდნენო.

მაღე კაბინეტში შემოვიდნენ მოსკოველი და თბილისელი საპატიო სტუმრები. გურამ ქაშაყაშვილი და ვახტანგ მოსიაშვილი მხურვალედ მიეგებნენ მათ.

იმ დღეს ქარხნის მეთაურები საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს მასპინძლობდნენ.



# საქართველო ქვეყნის გმირები

## საბჭოთა კავშირის გმირები

მოსკოვი, სეროვის ქუჩა, სახლი 17, ბინა 45, საბჭოთა კავშირის გმირს, გენერალ-პოლკოვნიკ ვასილ მიტროფანეს ძე შატილოვს.

ამ მისამართზე უამრავი წერილი მიდის თითქმის ყოველდღე, სადღესასწაულო მილოცვის ბარათები, მოკითხვები, საქმიანი წერილები გამოცემლობიდან (თადარიგის გენერალ-პოლკოვნიკი რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორია), ბარათები ნაცობ-მეგობრებიდან, უბრალოდ, იმათგან, რომელთაც აინტერესებთ გენერლის ჯანმრთელობა, მისი სამომავლო-გეგმები, ყოველდღიური საქმიანობა. აი, ასეთია ვასილ შატილოვის ფოსტა.

— ოთხმოც წელს გადაცილებული ადამიანისათვის მომავლის გეგმებზე საუბარი, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ჟღერს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მომავლის გარეშე, თუნდაც ერთი წუთით არსებობას, აზრი არა აქვს! — მხიარულად მეუბნება ჯარმადე გენერალი და საკმაოდ დამრეც კიბეზე არბის. გენერალ-პოლკოვნიკ შატილოვს საქართველოდან სტუმრად ვეწვიე, მისი ამგვარი სიხარული სავსებით გასაგებია: ყოფილი ფრონტელები-სათვის წარსულის დღეთა მოგონება სასიამოვნოა, ისიც იცის, ჩვენი მოგონება უფრო შორეულ პერიოდს გადასწვდება და მეხსიერებაში ოციანი წლების თბილისი ამოტივტივდება...

ორიოდე სიტყვით მინდა გითხრა, რომ თადარიგში გასვლამდე გენერალმა ცხოვრების სახელოვანი გზა განვლო. დიდ სამამულო ომში იდრიცკის 150-ე დივიზიამ მისი მეთაურობით ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალი ქალაქი, სოფელი და დასახლებული პუნქტი. პოლკოვნიკ ზინჩენკოს სახელგანთქმული პოლკი, რომელმაც რაინსტაგის შენობა აიღო, სწორედ იდრიცკის 150-ე დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდა.

თადარიგის გენერალ-პოლკოვნიკის ოჯახში ახლა ყველაზე ძვირფასი რელიქვია საბჭოთა მთავრობის 22 ჯილდო და პოლონეთის სახალხო ზესპუბლიკის უმაღლესი ორდენი — გრიუნვალდის ჯვარი.

— თვრამეტი წლის ბიჭი ვიყავი, თბილისში პირველად რომ ჩავედი. ჩვენი ოჯახი მანამდე ვორონეჟის ოლქში, სოფელ ოქტიაბრსკაიაში ცხოვრობდა. დედა, მამა და შვიდი შვილი ვიყავით. მამაჩემი მეტყვევ იყო. შეილებს ჯერ ბუნების პატივისცემა ჩავგინერგა, შემდეგ კი სამშობლოს დიდი სიყვარული გავვიღვივა, — იგონებს გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ შატილოვი, — ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი უფროსი ძმა ზამთრის სასახლის შტურმის მონაწილე გახლდათ. იგი ჯარში მსახურობდა და მეც მიჩნია, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩავმდგარიყავი. ასეც მოვიქეცი. მშობლებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყდა, რომ მესწავლა თბილისის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც მაშინ ახალი ჩამოყალიბებული იყო. მართალია, მანამდეც ყურმოკრული მქონდა ქალაქ თბილისის კოლორიტულ თავისებურებებზე, მრავალი ლიტერატურა მქონდა წაკითხული თბილისზე, საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულზე, მაგრამ იმან, რაც მაშინდელ თბილისში ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე, რა თქმა უნდა, ბოდიშს მოვიხდი საქართველოს ახლანდელ დედაქალაქთან, რომელიც კვლავაც ერთერთ ულამაზეს და შეუდარებელ ქალაქად რჩება, მაგრამ, ვფიქრობ, თბილისს დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივ თუ ვაჩნია ის კოლორიტი, აღმოსავლური ქალაქის ეშხი, რომლითაც იგი ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ეგებებოდა და ხიბლავდა ჩამოსულ სტუმრებს. მაშინდელი ქალაქის ვიწრო ქუჩაბანდები, სარეცხამოფენილი დაკიდებული აივნები, ცხენშებმული ფაეტონები, „კონკა“, ხალხმრავალი ბაზრები, ქუჩაში მოსიარულე ლამაზი ბანოვანი თუ კინტოყარაჩოხელები, — ასეთ ქალაქში ჯერ კიდევ იგრძნობოდა იმ სულმნათ ადამიანთა სუნთქვა, რომელთაც თვალი აუხილა, გული დაუთბო, სული შთაბერა და პოეტური ჩანგი კიდევ უფრო აუხშიანა ამ შესანიშნავმა ქალაქმა. აი, როგორი გახლდათ მაშინდელი თბილისი...

ყველაფერი თბილისურ რ ი

უზომოდ აინტერესებდა შორეული რუსეთიდან ჩამოსულ ყმაწვილს. ქალაქში მალე გაჩინა მეგობრები და სამხედრო სასწავლებლისაგან თავისუფალ დროს თითქმის მთლიანად თბილისელ მეგობრებთან ერთად ატარებდა. ხან მტკვრის სანაპიროსთან ისხდნენ, ცურაობდნენ, ხან მამადავითზე არბოდნენ, ხან კი ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ თავზე თაბახშემოდგმულ კინტოებსა და სასმელი წყლით მოვაჭრე თულუხჩებს.

— რა შეგძინათ თბილისმა? — ვკითხვებ გენერალ-პოლკოვნიკს.

— უპირველეს ყოვლისა. თბილისში ჩამომიყალიბდა ინტერნაციონალური მსოფლმხედველობა! — უყვარს მისი მიპასუხა გენერალმა, — სულ სხვაა, როცა ადამიანს ინტერნაციონალურ სულისკვეთებას წიგნებითა და თეორიებით უნერგავენ, ის კი სულ სხვაა, როცა თვითვე მოხვდება ქალაქში, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ მეგობრულად ცხოვრობენ და იღვწიან 100-მდე ეროვნების წარმომადგენლები. აქ რალა თქმა უნდა, უდიდეს როლს თამაშობს ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობა...

გენერალი შატილოვი რამდენჯერმე იმყოფებოდა სტუმრად ქალაქ სოხუმში საბჭოთა კავშირის გმირ მელიტონ ჯანთარიასთან. მეწვია მეც, ამ სტრიქონების ავტორს.

სოხუმის საზოგადოებამ საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ მიტროფანეს ძე შატილოვი ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩია. იგი მოსკოვში ცხოვრობს. მაგრამ არაოფიციალურად ჩვენს თანამემამულედ და თანამოქალაქედ ითვლება.

გენერალი საქართველოში გატარებულ სიყმაწვილის პერიოდს უკავშირებს იმ შესანიშნავ ჯანმრთელობას, რომელიც ყოველდღე 10-12 კილომეტრის გარბენისა და საწყალოსნო აუზში ცურვის საშუალებას აძლევს.

ამას წინათ ქალაქ სოხუმის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო საპატიო მოქალაქეს, გენერალ-პოლკოვნიკ შატილოვს, შეხვედრას უამრავი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდებიც, რომელთაც ძალზე აინტერესებდათ ღვაწლმოსილ გენერალთან შეხვედრა.

ვასილ შატილოვმა შეხვედრაზე შემდეგი სიტყვებით დაიწყო თავისი გულითადი გამოსვლა:

— მე საქართველომ დამილოცა გზა დიდ ცხოვრებაში!..

კონდრატი უპილავა. სოხუმი.



შალვა ქირბა



ალექსანდრე პირმისაშვილი



კონსტანტინე ცუციკიძე



ივანე დემეტრასვილი



რედაქციაში

პირველად მე შევნიშნე და ყელისგამგლეჯი ხმით ჩავძახე ქუჩას:

— ბავშვი!  
აივნებზე გადმომდგარმა მეზობლებმა ჯერ მე შემომხედეს და მერე იმ ადგილს დააჩერდნენ. გაფაციცებული, შეშლილი სახით, თვალბეჭადმოკარგული რომ დავკვდომოდი.

მანქანებით აღრიალებულ ქუჩაზე ბავშვი გადადიოდა.

მიბაჩუნობდა ხელების ქნევით. მეხუთე სართულიდან მარტო მისი დიდი, წითელი ქუდი ჩანდა და წინსაფარიანი, ფართხუნა შარვალი. ყველაფერზე ეტყობოდა რომ, არც მეტი, არც ნაკლები, იმ ასაკისა იყო, მარტო ქუჩაში კი არა, ოთახიდან ოთახში რომ არ გაიშვებდა.

— ბავშვი! ქუჩაში ბავშვია! — ზარივით დაუარა სახლებს და აივნებს.

ნერვიულობისგან ხელები გამეყინა. მეხუთე სართულიდან ჩარბენას ვეღარ მოვასწრებ. თითქოს ფეხებზე დოლაბები მკიდია. ხმის ჩახლეჩამდე ვბღავი:

— უშველეთ! უშველეთ!  
წინა სახლის აივნებსაც გადმოეფინენ მოქალაქენი.

ყველანი ვყვიროდით და საშინელი სურათის მოლოდინში თვალბეჭადვით.

— გაჩერეთ! გაჩერეთ!  
— ბავშვი!  
— უშველეთ!

— არ შეშინდეს, გაიქცევა!  
რა გაბედულად შებშია მანქანების ნიაღვარს. თითქოსდა პატარა დიდშარვლიანი თოჯინა მულტფილმიდან ჩამოსულა და ქუჩაში მიაბიჯებს. რა არხეინად მიიქნევს ხელებს. თითქოსდა ჩემთან შედარებით, ყველაფერი რაც ირგვლივა, უმნიშვნელო ტიკინებიაო. მანქანები ერთმანეთის მიწყდომით ქვავდებიან. მუხრუჭების სულისწამლები ღრჭიალი და სირენების კვილი ერთმანეთში ირევა.

ბავშვი კი, თითქოს აქ არაფერი იყო, ერთ გაჩერებულ მანქანას გვერდს უვლის და მეორისკენ მიემართება. მანქანები მის წინ ისე ჩერდებიან, როგორც ლომები წრუწუნას დახახვისას; წინა თათებზე ჩაცხუტულნი გაოცებით რომ დაჰყურებენ, ჩასაყლაპადაც რომ ეცოტავენ და არც ემეტებათ იმის გამო, რომ გაკვირვებულნი არიან მისი გამბედაობით.

კალოზე რომ ყვავები დაფრთხილებენ, ისე გაჩნდა ხუთიოდე ადამიანი სუნთქვა-გაყინულ ქუჩაზე. ბავშვთან ყველაზე პირველად თეთრპლასიანმა გოგონამ მიიბრინა. გვერდითჩასრილებულმა შავმა ვოლგამ კინაღამ გაჰკრა. ბავშვს გვერდით ამოუდგა, ჯერ ხელები გაშალა და მოძრაობა შეაჩერა, მერე ბავშვი აიტაცა და ლამის ჰაერში აფრინდა, თვალის დახამხამებაზე უფრო ჩქარა ტროტუარზე იდგნენ ორივენი.

მე რომ ძირს ჩავედი, თეთრპლასიანი გოგო არსად ჩანდა. შემთხვევის გმირი, ორიოდე წლის თვალმაცვალა ბიჭუნა თავის დედიკოს მიჰკეროდა თემოზე და ცრემლჩამდგარი თვალბეჭადვით შემოჯარულთ ათვალეირებდა. ოცდაათიოდე წლის მაღალფეხება, ხუჭუჭთმიანი, მზით გარუჯული ქალი ხელით ბავშვს იკრავდა სხეულზე და თან სლუკუნით იგერიებდა ცნობისმოყვარე გამვლელთ.

— მაინც რანაირად დატოვე, ქალბატონო, ბავშვი გარეთ?

— ერთი წამით, ბატონო, პურის საყიდლად შევედი.

— მერე ვერ შეიყვანე თან?

— რა ვიცოდი, ეშმაკი, ყველაფერს ედება, ფულის ამოღებას არ მაცლის. გუშინწინ ფქვილით სავსე პარკი დაიძხო თავზე და, ვიფიქრე, დღესაც რაღაც, უბედურებას ჩაიდენს-მეთქი.

— მეტ უბედურებას რაღაც ჩაიდენდა.

— ამ მოაჯირს მოკიდე, დედიკო, ხელი, არ გაუშვა-მეთქი, კარგო, ა, აქ ეკიდა ხელი. პური ავიღე და სანამ ფულს გადავიხდიდი, ერთი გამოვხედე. შუა ქუჩაში იდგა.

— მერე?

— მუხლები მომეკვეთა. თქვენ გგონიათ მახსოვს რამე? კვილი მესმოდა, მეტი არაფერი: ნაბიჯი წინ ვერ წავდგი. ასე მეგონა, რომ გავინძრე ადგილიდან, მაშინვე გასრეს მანქანა-მეთქი. ამის მოყოლა არ შეიძლება. ფეხები ყინულის ბოძებდალ მექცა.

— სად წავიდა ის ქალი, ის ღვთიან-მადლიანი?

— ოცი წლის გოგო იყო. ტროლეიბუსიდან ჩამოფრინდა და პირდაპირ ქუჩაში შევარდა. მარტო მისი პლასის ფერი და თვალბეჭადვით მახსოვს. ან ტელეფონი მითხარი, ან მისამართი-მეთქი, ხელზე წავეპოტინე, მეჩქარება ქალბატონო, მეჩქარებაო. ბავშვი ჩამახუტა და გაიქცა. მე მგონი, გოგო კი არა ანგელოზი იყო, პირდაპირ ციდან დაშვებული.

— ისე, კაცმა რომ თქვას, მაღაზიასთან არ უნდა იყოს რამე სამსახური? ან ბავშვს დაუტოვებ, ან ბარგს. კარგი, ამ ბავშვს სიარული შეუძლია და შეიყვანდა მაღაზიაში. სხვა დროს? კალიასკიანი ბავშვის დედას რომ ჰქონდეს რამე საყიდი? ხომ გინახავთ ჩვენთან, უნივერსიტეტში, აბგა-ჩემოდნიანი კაცები ან გულზებავშვატატებული ქალები. ესაა საქმე? — სპორტულბიჟამოიანმა, შუახანსგადაცილებულმა კაცმა წაიფილოსოფოსა.

— რა უნდა იყოსო, რა თქვი? — ჰკითხა ყორნისფერ-შლაპიანმა, მაღალმა, გამხდარმა, ჩამაკინტოშებულმა კაცმა.

— მორიგე უნდა იდგეს დიდ მაღაზიასთან. ბავშვს და ხა-

ბაკს რომ მიგიხედავს.

— ეგ გვაკლია სწორედ. მეტი არაფერი, — შლაპიანმა დაამთქნარა და პირზე ორჯერ მიირტყა ხელი.


...

ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა დესპინე მუმლაძემ სტამბის ნახევრადგასაიდუმლებული გვირაბი გაიბრინა და ინსტიტუტის პირველ კორპუსში ამოყუთ თავი. ამ გვირაბით მხოლოდ სტამბის მუშები და დავკვიანებული სტუდენტები სარგებლობდნენ. ინსტიტუტის ადმინისტრაციას დღეს ჰქვია ენმარა და წითელსამკლავრიანი, თავბურქვალა მორიგე ბიჭი სწორედ ასასვლელთან, საგაზეთო ჯიხურის გვერდით დაეყენებინა. რჩებოდა ერთადერთი გზა; ქუჩიდან, კლუბის გავლით მეორე სართულზე მოხედებოდი, მაგრამ კლუბში მხოლოდ დრამწრისა და სასულე ორკესტრის წევრებს უშვებდნენ.

დესპინემ მორიგეს გაუღიმა და კბებს საქმიანი იერით აუყვია.

— პლამი! — დაუძახა თავბურქვალამ.






„პეპო“ (დეკორაცია)

**ფარნაოზ  
ლაპიაუვილი**


საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

კ. გამსახურდია. „ხოვანის მინდია“ (აფიშა).

კ. გამსახურდია



ხოვანის მინდია



„ურთელ აკოსტა“ (ლევორაძია).



ვეტოპორტრეტი



„ანტიფონე“  
(ლევორაძია).




უცნობი ქალის პორტრეტი.

ოპერა „არსენას“ კოსტუმები.




„ხოჯაის შინდია“ (ლევორაძია)




„ოტელო“ (კოსტუმები).






„ვესტი“

(ავიშა).

  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„ოიდიპოს მეფე“

(დეკორაცია).





დესპინემ, აქოლა ჩემს ფიქრებში ვარ, არ მესმისო, გზა განაგრძო.

— შენ გეუბნები, თეთრ-პლაშინაო, ხომ იცი, ვერ გამასწრებ! — ბიჭი უფრო უტიფარი ჩანდა, ვიდრე დესპინეს ეგონა.

— გეხვეწები, — ლამაზ ყელზე ორი თითი მიიღო მუმლაძემ.

— მე თვითონ გეხვეწები, — მორიგის გადაწყვეტილება მკაცრი და შეუვალა იყო.

სტუდენტმა პლაში გაიხადა და ხელზე გადაიკიდა.

— პლაში ჩაბარე გარდერობს და გაგიშვებ. სტუდენტ-ლეთს ხომ არ გთხოვ, ვიცი, სტუდენტ-ლეთი დაკარგული გაქვს.

— ვერ მოვასწრებ, აღარ შემეშვება. ძალიან გეხვეწები.

— ამ ხვეწნაში ჩაბარებული კიდევ. მაინცდამაინც შენი გინდა გაიყვანო? — გაწყრა მორიგე.

— რა შუაშია ჩემი. ვერ მოვასწრებ, ქსოვრელის ლექცია მაქვს. ხომ იცი, რა ტიპია. ორი არა უკვე მიწერია.

გოგო ჩამოითხსაფხურდა და მორიგეს წინ დაუდგა ჩაჯინსვიტრებული, ჩექმოსანი, გაბუტულტუჩებიანი, შვლის-თვალეზა, თითებჩამწყვდელ ხელზე პლაშადაკიდებული.

წითლსამკლაურიანმა ბიჭმა უყურა, უყურა და, ჰო, კარგი წადიო, კეფის ფხანვით უთხრა. იგი სტაჟის გულისთვის მესამე წელია მორიგედ მუშაობდა, და, ვინც იცის, ამჯერად, იქნებ, ინსტიტუტის შინაგანაწესის დაცვაზე უფრო მეტად დესპინეს ახლოდან, სწორედ ასეთ პოზაში, დანახვის სურვილი ჰქონდა.

სტუდენტიც მიხვდა, რომ სილამაზის ყოვლისშემძლეობის სცენა გათამაშდა. თავბურქვალა მორიგეს მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, პლაში მხარზე გადაიგდო და კიბე აირბინა.

აუდიტორიის კარი შეაღო თუ არა, ფეხზე მდგარმა ჯგუფებულმა გარაყანიძემ ჟურნალზე დახრილ გრამატიკის ლექტორს გურამ ქსოვრელს შეაგება:

— პატივცემულო, არ დაუწეროთ, მუმლაძე მოვიდა!

ქსოვრელმა უგემურად გამოხედა დაგვიანებულ სტუდენტს, მერხებისკენ ხელით ანიშნა და სიის ამოკითხვა განაგრძო.

ლექციის ოცდაშვიდი სტუდენტიდან, ამჯერად, მხოლოდ ცხრა არ ესწრებოდა. ჯგუფებელი იუწყებოდა, რომ ის ცხრაც ისეთი საპატიო მიზეზით აცდენდა, როგორცაა „დეკრეტში“ ან კინოგადაღებაზე ყოფნა, ავტოავარიაში მოხვედრა ან გამზრდელი ბებიის გარდაცვალება“. გურამს ჯგუფებელი-

სა იოტისოდენაც არ სჯეროდა, ამიტომაც „არებს“ ყველა არმყოფს უწერდა, მერე დეკანატმა არკვიოს, ვინ აცდენს საპატიოდ და ვინ არაო.

სიის ამოკითხვა რომ დაამთავრა, სათვალე მოიხსნა, თვალის გუგები გულმოდგინედ ამოისრისა, კათედრიდან ჩამოვიდა და ზურგზეხელებდა-წყობილმა მერხებს შორის გაიარა. მერე კვლავ კათედრას დაუბრუნდა და ხახამჩაყენებული, ყიყინა ხმით იკითხა:

— ვინ შეგვასვენებს, რაზე ვსაუბრობდით წინა ლექციაზე?

ქსოვრელს წესად ჰქონდა, ლექციის პირველ ნახევარს წინა საუბრის გამოკითხვას ანდომებდა. ეს მეთოდი ოქსფორდის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე ყოფნისას გადმოეღო.

— აბა, ვის სურს დღეს თავის გამოჩენა?

რაკი თავის გამოჩენის მსურველი არ აღმოჩნდა, ლექტორმა ჟურნალს დააღო თითი:

— ლითანიშვილი!

— წინა ლექციაზე არ გახლდით, პატივცემულო! — პასუხი მზად ჰქონდა ლითანიშვილს.

— იმნაძე!

უკანა მერხიდან, სათვალეანი, წრიბა გოგო წამოდგა და მორცხვად დახარა თავი.

— იმნაძე გისმენთ, — ლექტორმა სათვალის ბოლო პირში ჩაიღო და კბილებს გაუკაკუნა.

— იცით რა, პატივცემულო, არ მახსოვს.

ლექტორი პირველად როდი ისმენდა ასეთ პასუხს, ამიტომ გარეგნულად მშვიდად, უღრტვინელად შეხვდა იმნაძის ნათქვამს.

— არ მისმენდით, იმნაძე?

— როგორ არა, პატივცემულო, მაგრამ იცით, დამაიწყდა.

— დაბრძანდით. ვინ მოისმინა წინა ლექცია, ვის ახსოვს, სტუდენტებო?

აუდიტორია გაიანბა.

— ჩხოზაძე! — ეს ერთადერთი ჩხოზაძე იყო, რომელსაც ყოველთვის ყველაფერი ახსოვდა. იგი, მაღალი, უწვერულვამო ყმაწვილი, ახლაც წამოდგა, მაგრამ ქსოვრელმა გადაწყვეტილება შეიცვალა, — დაბრძანდით ჩხოზაძე, სულ ჩხოზაძე ხომ არ ილაპარაკებს.

უსიამოვნო, ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა ლექტორი ჩვეულებრივად ხელს ჩაიქნევდა, არ გამოვს თქვენგან არაფერიო, იტყოდა და ლექციის კითხვას შეუდგებოდა, მაგრამ დღეს ქსოვრელმა დაარღვია თავისი სქემა, მერხებშუა გაჩერდა და გულზეხელდაკრეფილმა სასოწარკვეთილის ხმით იკითხა:

— რა ხდება, მეგობრებო, ამისხენით.

ახსნას არავინ აპირებდა.

— გულწრფელად მაინტერესებს. მესმის, ათასი საზრუნავი გაქვთ, მაგრამ ისე რამ დაგიქვეითათ მესხიერება, ერთ კვირასაც რომ ვერ იმახსოვრებთ ჩემს ნათქვამს?

— გაზაფხულია, პატივცემულო! — ჩაილაპარაკა გარაყანიძემ.

— კი მაგრამ, ეს გაზაფხული მარტო თქვენთვის არის? გეფიცებთ სინდისს, ოცი წელია ამ ინსტიტუტში ვმუშაობ და ასეთი უღიმღამო, მოშვებული, უინტერესო ჯგუფი ჯერ არ შემხვედრია. იქნებ ჩემი ბრალია. მითხარით გულანდილად, იქნებ ლექციას ვერ ვკითხულობ, როგორც საჭიროა?

— როგორ გეკადრებათ. ძალიან კარგ ლექციას კითხულობთ! — თქვა იმნაძემ.

— აბა, რა ხდება, ამისხენით, ძალიან გთხოვთ. იქნებ უფრო დიდი საქმეებით ხართ დაკავებული? დამერწმუნეთ, მე არა ვარ ისე ჩამორჩენილი კაცი, რომ ვერ გავიგო, მითხარით. იქნებ თქვენს შორის, რომელიმე დიდი საკაცობრიო გამოგონებითაა დაკავებული და ლექციების მერე ნახაზებს ჩაჰკირკიტებს.

სტუდენტები სდუმდნენ. ვილაცამ გაიცინა.

— იქნებ მწერლობითაა გატაცებული რომელიმე თქვენთაგანი. თუ ჭეშმარიტ მწერალთან მაქვს საქმე, ვაპატიებ გრამატიკისადმი უყურადღებობას, რა ვქნა ახლა.

ჯგუფში არც მწერალი აღმოჩნდა.

— გთხოვთ, ნუ დამიმაღავთ, იქნებ დიდი სპორტსმენია თქვენს შორის ვინმე? მე ვიცი, რა არის ახლანდელი სპორტი. გრამატიკის კი არა, თავის მოფხანვის დროც არ დაგარჩება. არც სპორტსმენია თქვენს შორის?

აუდიტორია უფრო გაყუჩდა.

— ამისხენით, რას საქმიანობთ ლექციების შემდეგ? წიგნი თქვენ არ გინდათ. სხვა რამე, საინტერესოს არ მისდევთ. იქნებ ფილატელისტობით, ან ნუმისმატიკით ხართ გატაცებული?

კვლავ გაიცინა ვილაცამ.

— რას იფიქრებდით თქვენ, ჩემს ადგილას, მითხარით, გულწრფელად. ახლა ისეთი გამოცდებია, მე რომ ვაბარებდე — პროფესორი გურამ ქსოვრელი, მისაღებ გამოცდას, გამიჭირდება ამ ფაკულტეტზე მოხვედრა. თქვენ ვინ მიგიღოთ, რანაირად მოხვდით ასე მოღუწებულნი, შინაგანად ცარიელნი, საზოგადოებრივად პასიურნი. მაპატიეთ, ყველას ერთნაირად არ გეხებათ. რა ხდება? რაიმე შეთქმულებაში ხომ არ მონაწილეობთ და ხომ არ მიმალავთ? მიწისქვეშა



ხერელი ხომ არსად გაგყავთ და მოჩვარული კაცის ნიღაბს შეგნებულად ხომ არ ატარებთ, ჩემს მოსატყუებლად?

ხმას არავინ იღებს. ამ სიჩუმემ უფრო გააბრაზა ლექტორი.

— თქვენ, მაგალითად, მუმლაძე, რისთვის დაგაგვიანდათ, რას მიკეთებდით ამ დღით?

მუმლაძე ადგა, ჯერ ქსოვრელს შეხედა და მერე ფანჯარას შეავლო თვალი, გარეთ ინსტიტუტის ჭიშკარსშემოხვეულიასამანს სასწაულებრივად დადერჩინა ცაში შემართული ორიოდე ყვავილი.

— რატომ დაგაგვიანდა მუმლაძე?

— მუმლაძეც სდუმდა.

— დაბრძანდი.

დესპინე დაჯდა და კვლავ იასამნის ყვავილისკენ გაქცა თვალი.

...

შესვენებაზე გურამ ქსოვრელი საპროფესოროში, რბილ სავარძელში მიყუჟულიყო და თავის უიღბლო ხელობაზე ფიქრობდა: რაზე ვიშლი ნერვებს, რისთვის ვიმართებ ინფარქტს? კვლევით ინსტიტუტში გავუცვლი ვინმეს ადგილს. ჩემთვის, წყნარად მაინც ვიქნებიო, დაასკვნა ბოლოს და ამასობაში ზარიც დაირეკა.


# ქრესტოვი

ქრესტოვი  
კონკრეტული  
კონკრეტული

## XII



საფესტივალო ცეცხლის დანთების ცერემონიალის დროს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. (მარცხნიდან): საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი, ავიაციის მარშალი ი. ნ. კოჟედუბი, ფესტივალის დელეგატები — მოსკოვის გ. პლესანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ასპირანტი გალინა გაგარინა და გაერთიანება „ურალმაშის“ ამწყობი-ზეინკალი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი პავლე რატნიკოვი.



ქართული ანსამბლის გამოსვლა ფოლკლორულ დღესასწაულზე.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის საზეიმო დახურვის პროგრამის ფრაგმენტი.

ანსამბლ „მეტეხის“ გამოსვლა ფესტივალის მონაწილეთა და სტუმრების წინაშე.

ხალიჩების ქსოვის ოსტატი ნაზიბროლა დოღმეაშვილი მნახველებს აცნობს თავის ნახელავს.





დანიელი, შვედი, ნორვეგიელი, ნიკარაგუელი და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდები დღესასწაულზე.



ქართველი მოცეკვავეები კომუნის მოედანზე საბჭოთა ახალგაზრდობის კლუბის საზეიმო გახსნისას.

ფოლკლორულ ანსამბლ „მეტეხის“ მსახიობები ფესტივალზე.



**მ. იოკანი**  
(უზნარბითი)

## არაბი და ესპანელი

საბარბაკო ნოკველა

იმ დროს ესპანეთი ჯერ ისევ არაბების ხელში იყო.

დროდადრო ესპანელი დონ ურტადო დადიოდა სამოგზაუროდ ესპანეთის ქალაქებში და ყოველთვის მდიდრული ნაძარცვითა და ნაღველით ბრუნდებოდა. ერთხელ ის კვლავ გაემგზავრა შორეულ გზაზე. როცა ტყეში, მდინარე გვადალკვირის სანაპიროზე, მშვიდად მიდიოდა თავისი ჯორით, დაინახა შუა გზაზე მჯდომი არაბი, რომელიც თავის თავს ჭადრაკს ეთამაშებოდა.

როგორც ცნობილია, არაფერია იმაზე უფრო უჩვეულო, ვიდრე მარტოდმარტომ ითამაშო ჭადრაკი. დონ ურტადომ ჯორი შეაჩერა და დიდხანს გაკვირვებული უთვალთვალებდა არაბის საქმიანობას. არაბი გართული იყო თამაშით, ხანგრძლივად ფიქრობდა, ვიდრე მორიგ სვლას გააკეთებდა და საერთოდ ისე გაეტაცნა თამაშს, რომ ირგვლივ ვედარაფერს ამჩნევდა. ბოლოს დონ ურტადომ ჰკითხა არაბს:

- რას აკეთებ?
- ვერ ხედავ, ჭადრაკს ვთამაშობ?

- როგორ? მარტო?
- მე მარტო არა ვარ.
- მეორე ვინაა?
- ის, ვინც ყველგან სუფევს — ერთადერთი და ძლევათოსილი, ალაჰი, — დიდ არს მისი სახელი!

— მაშ, შენ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე გყოლია.

- ყოველ შემთხვევაში, ძლიერ სამართლიანი!
- ახლა მაგ პარტიას ვინ მოიგებს!
- ყველაფერზე ეტყობა, მე წაგაგებ. ერთი სვლაც და შამათს გამომიცხადებს. დღეს მეტს აღარ ვითამაშებ.
- რატომ?
- მთელი ფული წაგაგებ.
- როგორ, ღმერთს ფულზე ეთამაშები?
- აგრეთა. ამ პარტიაში ორმოცდაათი ოქრო წაგაგებ.

— კარგი, მაგრამ როგორ გინდა, გადაუხადო ღმერთს ეგ ფული?

— ჩვეულებრივ, როცა მე ვაგებ, ღმერთი წარმომივლენს ვინმე კეთილ, ღვთისმომშიმ კაცს, რომელსაც მიაქვს ჩემგან წაგებული ფული და ღარიბებს უნაწილებს... ეს იგივეა, ვითომ ღმერთისათვის მიმეცეს. მე მწამს, რომ ალაჰმა დღეს შენ გამოგაგზავნა ჩემთან. წაიღე ეს ფული და დაურიგე ღარიბებს.

არაჩვეულებრივად გახარებულმა დონ ურტადომ იფიქრა, რომ ჭადრაკის ასეთი თამაში ჰკუ-

ის მასწავლებელი და სასიამოვნო რამ იყო. ამიტომ, როცა მთელს ესპანეთში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იმავე გზით კორდოვაში ბრუნდებოდა, გადაწყვიტა, კვლავ მოენახულებინა არაბი და ეკითხა, ისევ ხომ არ წაგვიგია ღმერთთან.

არაბი მართლაც ისევ გზის შუაგულში იჯდა და არაჩვეულებრივი ყურადღებით თამაშობდა ჭადრაკს.

დონ ურტადო ახლოს გაჩერდა და დაუწყო ლოდინი პარტიის დამთავრებას.

- აბუ-არზლან, ნუთუ დღესაც წააგებ?
- დღეს არა. დღეს ბედი მილიმის... კიდევ ერთი სვლა და ალაჰი შამათს მიიღებს.
- ძალიან კარგი. დღეს შენ მოიგე!
- დიხ, მე მოვუგებ ალაჰს ხუთასი ოქრო.
- მერედა, მაგ ფულს ვინ გადაგიხდის?
- ჩვეულებრივ, როცა ალაჰი წაგაგებს ხოლმე, წარმომივლენს ვინმე კეთილ, ღვთისმომშიმ ადამიანს, რომ გადამიხადოს მოგებული თანხა. მე მწამს, დღეს შენ წამოგაგლინა ალაჰმა, რათა ხუთასი ოქრო გადამიხადო.

ამ სიტყვებით არაბმა თავზარდაცემულ დონ ურტადოს მკერდში დამბაჩა დაუმიზნა; დაღრეჯილმა და შეწუხებულმა ესპანელმა არაბს ოქროებით სავსე თავისი ქისა გაუწოდა.

თარგმნა ლილი ჟაროძემ.

# უჩოქი პიჭროს და ქართული

საბავშვო ნიბნიდან  
„პიჭი, რომელსაც  
ჩიტის გული ჰქონდა“

## სუბა ბარულავა

შუბლშეკრული ბებია ნათესაობაში ანაწილებდა შვილიშვილებს. სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ ერთიც არ ემეტებოდა კალითდან მოსაგლეჯად. თანაც ყოველმხრივ გვამშვიდებდა; მიხა ბატონი მალე ჩამოვა და ისევ ერთად, მხიარულად ვიცხოვრებთო.

მე ყველაზე უფრო შორეულ სოფელში, მამიდის ჭერქვეშ უნდა მეპოვა თავშესაფარი.

ზუგდიდიდან შუადღისას გავიდა ჩვენი ურემი.

ჩემი აღერსიანი მამიდა მხნეობას არ კარგავდა, ლაუ ბიძია კი, მოგეცა ლხენა, მწარე-მწარეს არ იშურებდა ვიღაც უცნობის მიმართ:

— თუკი ისე ბრძენია და შორსმჭვრეტელი, როგორც ამბობენ, რატომ ვერ ამჩნევს, ქალაქში როგორ მიესივნენ ერთმანეთს გულს აყოლილი ადამიანები... აიძვრა წყალი, ქალბატონო ძაბული, ამღვრეულ წყალში კი თევზის ჭერა იოლია... ზოგს ეჩვენება, ზოგსაც ძველი, პირადული ბოძა აღჩიობს და არ ასვენებს... ასე უაზროდ, არაფრის გამო, ღუპავენ ერთმანეთს ეს ოჯახქორები!

გამოგეტყდები, გოგა, არ ვიცი, ვის გულისხმობდა ამ პიროვნებაში.

მამიდა აჩუმებდა თავის ქმარს:

— რას ამბობ, ლაუ, მახარია! არავინ გაიგონოს... გაუგებრობა ღრუბელივითაა, გაიფანტება და გამოინათებს...

— არ გაიგონოსო... ვისაც სურს, გაიგონოს... შენ მაინც უწყვი, ჩემო დედოფალო, გათენებინა შებინდებამდე ყანაში თოხს ვახათქუნებ და თუ ესეც შეშურდება ვისმე, თავში ქვა უხლია, მოუსაგლეთში წასულა! — ამბობდა ლაუ და სახრეს მოზომილად უტყალაშუნებდა დეკებივით კამეჩებს, რომლებიც ზანტად, მაგრამ მოთმინებით მიაჭრილებდნენ მამაჩემის წიგნებითა და შავი გოგორა პურებით დატვირთულ ურემს.

აღბათ მეტყობოდა, რა მწარედ განვიცდიდი ღებთან და ძმასთან განშორებას. უცებ ჩემკენ მოტრიალდა ლაუ ბიძია და ასე მითხრა:

— ვახუშტი, ოღონდ შენს დალონებას ნუ დამანახვებ და ყმად გავიხდები, შვილო! ღმერთი მოწყალეა და ქვეყანაზე ღვთისნიერი კაცი არ დაიღუვა. იცხოვრე ჩვენს ისლიან ქოხში და იარე სკოლაში. ჯერჯერობით ეს არის უმთავრესი. გწამდეს, ჩემს ჭერქვეშ უცხოდ არასოდეს იგრძნობ თავს...

მამიდამაც თავის მხრივ დასძინა.

— ასეა, შვილო. ლაუ ქვარცხავას ტყუილი ჯერ არავის გაუგონია. ლაუ სიმართლეს არ უღალატებს. ამიტომაც უყვარს ჩემს ძმას თავისი სიძე და მეგობარი...

ჩემს ამაყ ბუნებას ესაღბუნებოდა ამ ძვირფასი ადამიანების გულითადი სიტყვები. იმედი მომეცა და სიმშვიდე დამეუფლა.

ქალაქს გავციდით და წითელი წყაროს ტერიტორია დაიწყო. მშვენიერი სანახავი იყო მწვანედ აბიბინებული ეზოები და გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული წიწვიანი ხეები.

ქალაქს სამი-ოთხი კილომეტრით თუ ვიქნებოდით დაშორებული, როცა ერთი თაფლისთვალა, ასე მომეჩვენა მაშინ, საოცრად ლამაზი, ათი-თერთმეტი წლის გოგონა დავინახე. გრძელი, ყაყაოსფერი კაბა ემოსა, უფრო ღია ხავერდის ბაბით შეკრული. ფეხზეც მოწითალო მსუბუქი ფეხსაცმელი ეცვა, ძალიან უხდებოდა მოკლედ შეჭრილი თმა.

საღლაც მინახავს ეს ყაყაოსფერი კაბა, მაგრამ სად?

ურამიდან ჩამოვხტი და შევჩერდი, მინდოდა, ცოტათი მაინც ჩამოვჩენოდი ლაუ ბიძიას კამეჩებს.

— ნატო, იჩქარე, ზამთრის კლუბში გველოდებიან! — გაისმა ამ დროს.

— მოვდივარ, ეთერი, მოვდივარ! — დაამშვიდა ყაყაოსფერკაბიანმა.

ნატო... ნატო... ნატო...

საღლაც მინახავს ეს გოგონა, მაგრამ სად? ამ სოფლის მიწაზე ხომ ჯერ არ დამიდგამს ფეხი?

„ზამთრის კლუბი“ ზუგდიდშია, ხშირად ბიონერთა და მოსწავლეთა სასახლესაც რომ უწოდებენ.

თითქოს თვალწინ გაიღო „ზამთრის კლუბი“, სადაც ბავშვებს თბილისიდან ჩამოსული საპატიო სტუმარი ჰყავდათ, მარიამ ორახელაშვილი...

სწორედ ეს გოგონა იღვა მაშინ კლუბის სცენაზე.

— სიდან მოხვალ, დობილო? — სიმღერით ეკითხებოდნენ მისებრ ცეროდენები. ისიც წკრიალა ხმით უპასუხებდა თანატოლებს.

სტუმარმა, რომელსაც ნორჩებიც და უფროსებიც მოწიწებით შესციცინებდნენ, გულში ჩაიკრა თაფლისთვალა გოგო, საჯაროდ შეაქო და ყაყაოსფერი კაბა აჩუქა. თავისი ხელით მიაზომა ეს კაბა.

ტაშის გრიალში ჩამოვიდა სცენიდან

ლოყებაწითლებული გოგონა.

მისთვის ძველი თეატრის პირდაპირ მდებარე სახლის ეზოშიც მომიკრავს თვალი. იქ, სახლის პირველ სართულზე, ფართო და მყუდრო ოთახში, პატარებს ცეკვას ასწავლიდნენ ანეტა იაშვილი და ვარლამ ალანია.

— ნეტავ, თუ შევხვდები კიდევ ამ ყაყაოსფერკაბიან გოგოს? — გავიფიქრე და, მომავალ შეხვედრაზე ვინ ჩივის, მაშინვე ზურგი შემაქცია...

ურემზე პურის საამო სურნელი ტრიალებდა. იმდენი გოგორა პური ეყიდა ლაუ ბიძიას, ვგონებ, შემოდგომის დამლევამდე ეყოფოდა ღიდ ოჯახს.

წიგნებსა და პურებს შუა რბილად ჩამიგეს ნაბალი. ჩავწეკი და გავთბი. სითბომ და ურმის ჭრიალმა წამიერი ძილი მომგვარეს. თვალი რომ გავახილე, ურემი სოფელ ცაიშს უახლოვდებოდა.

ირგვლივ სქელი ნისლი ტრიალებდა. ურემი თითქოს შეცურდა ამ ნისლში და გაუჩინარდა. ჩემს გოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მიწიდან ამოვარდნილი ცხელი ოხშივარიც შევნიშნე.

ჩემს ყოვლისმცოდნე მამიდას არ გამოჰპარვია ეს გოცება და უმოდ ამიხსნა:

— ჩვენს წინაპრებს აქ ოდესღაც აღმოუჩენიათ სამკურნალო წყაროები და ღია ცისქვეშ აბანოებიც აუგიათ. საიდან არ მოეშურებიან აქეთკენ! ეს უებარი წყალი ბევრ სატკივარს შველის თურმე... მე კი ვერ მიშველა...

ამ საუბარში მამიდამ ქოჩორზე აღერსიანად გადამისვა ხელი, სწორედ ის ხელი, რომელიც, ჩემიანების ვადმოცემით, ქორწინების დღეს დაიზიანა.

აღერსმა კი გამათბო, მაგრამ დალოცვილის მარჯვენა მკლავში სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა.

ერთხანს კიდევ ვიარეთ.

ფიქრი გამიწყვიტა მისალმების შეძახილმა:

— გზამშვიდობისა, ჩემო ბატონო!

— მშვიდობა და გამარჯვება ნუ მოგაკლავთ ღმერთმა! — ხალისიანად გაეპასუხა ლაუ ბიძია უცნობ მგზავრს. ყაბალახიანმა მხედარმა ჩავვიქროლა და ცხენის ფლოქვების თქარათქური მალე მიიკარგა.

— აქ სადა ვართ, მამიდა? — ვკითხე მე.

— სადაცაა ხეთას დავტოვებთ, ვახუშტი! აქ რომ დაფნა და ნარინჯი ხარობს, ნეტავ, ჩვენს სოფელშიც იყოს! — ინატრა მამიდაჩემმა, რომელიც იმ დროს კვლავ

ახალგაზრდა დაბულის დაემსგავსა.

ცამეტი წლის ბიჭს, სწორედ შენი ხნისას, გოგა, თითქოს რა უნდა ესმოდას მოზრდილი ადამიანების ურთიერთობის, მითუმეტეს სიყვარულის, მაგრამ იმას მაინც ვამჩნევდი, მტრედებივით რომ შეჭლულუნებდნენ ერთმანეთს ლაუ და ძაბა. ასე ყოფილა მათი ცხოვრების მზიან დღეებშიც და მამინაც, როცა მწუხარების ზვავი მოულოდნელად და ულომბელი ძალით დაატყდებოდათ ხოლმე სიკეთისათვის დაბადებულ ადამიანებს.

პირველი მწუხარება მართლაც ქორწინების დღეს წვეოდათ...

მაგრამ, მოიცა, ჯერ უფრო აღრინდელ ამბავს გაიმბობ.

დიდხანს ჰყვარებია ლაუს მომღერალი და მოცეკვავე ქალიშვილი, ხალისიანი და სანდომიანი დაბული. თავის მხრივ ქალიშვილსაც ჩავარდნოდა გულში წარმოსადეგი, შრომისმოყვარე, მოკრძალებული ჰაბუკი.

დუმდა ლაუ, გულისნაღებს ვერ უმხელოდა იმ ასულს, ურომლისოდაც ცხოვრება ვერ წარმოედგინა თურმე. ცასა და მიწას, ტყესა და ყანას უზიარებდა თავის ზვავიანს, იმას კი ვერა, ვისაც ყველაზე მეტად გაახარებდა გულის გახსნით.

დუმდა დაბულიც, თუმცა ხობისწყალში რომ ჩაიხედავდა, იქაც ლაუს ხატება ამოდიოდა. ქალის დუმილი ბუნებრივად ითვლებოდა, ჰაბუკისას კი გამართლებას ვინ მოუძებნიდა. თანატოლები უსაყვედურებდნენ კიდევ: ეს რა მშვიშარა ვინმე ხარ, საოცნებო ქალიშვილისთვის სიყვარულიც კი ვერ ავიხსნიაო.

უარით რომ გამომისტუმროს, მამინ რა გზას უნდა ვეწვიო და ვის უნდა მივადგეო, უთქვამს ლაუს. შენც ადექი და შინ წამო-

დიო, ურჩევით მეგობრებს, მოსაკლავად არ ვაგიმეტებენ, შოლტით თუ ავიწვეს ზურგი, შენც აიტანეო.

ერთხელ ვაჟს ჩიტმა ამბავი მიუტანა, დაბულიც არ არი გულგრილად შენდამიო. ჩიტმა მიუტანაო, მითხრეს თორემ, ვინ იცის, იქნებ გულმა უგარძნო, ან კიდევ დობილთაგან უერთგულესმა ამცნო უიმედოდ შეყვარებულს, არც ისე ცუდად არის შენი საქმე, ოღონდ გულზე ხელებს ნუ დაიკრეფო.

ამდგარა ჰაბუკი და თავს დასდგომია დაბულის, როცა იგი ხობისწყლის პირას ისვენებდა, ცურვით დაღლილი და ნაწნავებგამოლილი.

მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა.

— გამარჯობა, დაბული! თუკი არ გამიჯარდები, დავდგები აქ და ორიოდ სიტყვით მოგახსენებ სათქმელს, რასაც სამი წელია, ვატარებ გულში...

— რას მეჩურჩულე, ბიჭო, რამ ჩაგიწყვიტა ხმა? ახლო-მახლო არავინ არი და ვისი გერიდება? ჩემი თუ გემინია, არა ვარ საშიში გოგო.

— ხომ იცო, დაბული, სახლი არა მაქვს და კარი, ქონება არა მაქვს და იმედი...

— სახლიც გექნება და კარიც, ქონებასაც შეიძენ ამ დაკოჭრილი ხელებით, მაგრამ უიმედოდ შორს ვერ წახვალ. ვინ წაგართვა იმედი?

— იმედიც შენ გამიქრე და კერიაზე ცეცხლიც შენ გამო ვერ გამიჩაღებია...

— ვაიმე, დედი! ეს რამ გათქმევინა, შე დალოცვილო? ნუთუ ასეთი ცოდვილი ქალი ვარ? გაგიგონია, ამხელა ბრალდების ზიდვა! მიძიეა ეს ბრალდება...

— შინ გამოყევ და ეს ბრალდებაც თავისთავად მოიხსნება. გამოყევები? მიპასუხე.

— ამბობენ, ამისთანა კითხვის პასუხს

სამი წელიწადი, სამი თვე და სამი დღე სჭირდებაო...

— სამ წელიწადს, სამ თვეს და სამ დღეს არაფრად ჩავთვლი, მოვიტმენ, დაგელდები, ოღონდ შენგან უარი არ მივართვ...

— თუკი ასეა, მამ, ზეგ გამოდრეკენებთან და გამოუცხადე შენი სურვილი!

— აკი მითხარი, სამი წელიწადი, სამი თვე და სამი დღე სჭირდებაო პასუხს... ჰა!

— სამი წელიწადი, სამი თვე და ორი დღე უკვე გავიდა მას შემდეგ, რაც მე ვფიქრობ იმ პასუხზე, რასაც შენა მთხოვ.

— იყოს ნება შენი, მზეო ჩემო და სალოცავო! ვეახლები შენს მშობლებს, თუ ჯობით არ გამომიდგენ...

— ჯობით გამოგიდგებიან და იმავე სალამოს, აქ, ამ ადგილას, დამელოდე... მომიტაცე!

— მოგიტაცებ, აბა, რას ვიზამ, უშენოდ რა გამაძლებინებს!

სატრფოს მოტაცება არ დასჭირვებია ლაუს, რადგანაც ქალის მშობლებს დიდი პატივით მიუღიათ იგი, თანხმობაც მიუცით და ლოცვა-კურთხევაც არ დაუქლიათ.

ქორწილი დაწყებულა „კუჩხი ბედინერის“ გუგუნით, რომელიც ხობისწყლის გაღმა და გამოღმა ნაპირებს თანაბრად ეფინებოდა თურმე.

თამაღისათვის მიურთმევით უზარმაზარი ჯიხვის ყანწი, რომელშიც ერთადერთი ჩაის ჭიქა ღვინო ჩადიოდა. სუფრის მეუფეს ის იყო უნდა წარმოეთქვა ნეფედედოფლის სადღეგრძელო, როცა ჰაერი გაუკვეთია პატარძლის განწირულ ძახილს:

— ვაიმე, ბავშვი!

ავიზივებულ ბუხართან ახლოს, სამფეხა სკამზე მოკალათებულ ბიჭუკელას ანაზღეულად სკამი გადაბრუნებოდა და პატარძლის უსწრაფესი ნახტომი რომ არა, ის პირდაპირ ცეცხლში ვარდებოდა.

ალტაცებულ დედამთილს საზრიანი და მკვირცხლი რძლისათვის შუბლზე უკოცნია, ის კი ვერ შეუნიშნავს, რომ მას მარჯვენა ხელის მტევანი დაზიანებული ჰქონდა.

პატარძალს ხელი თავსაფრით ჩუმად შეუხვევია, მაგრამ ვანუწყებელი, მფეთქავი, აუტანელი ტკივილი ერთი წუთითაც არ განელებია. ვანთიადამდე, ვიდრე სტუმრები ილხენდნენ, ღიმილი არ ჩაქრობია სახეზე.

იმ დღიდან ქვარცხავების რძალს ხელში საცერი არ აუღია, სიმინდის ფქვილი რომ გაეცრა, ჩოგანი არ უხმარია, ღიმი რომ მოეზილა. ვერც ჭაღსა და ხაჭაპურს აცხობდა.

სადიასახლისო საზრუნავი მეტწილად ლაუს დასწოლია მხრებზე, მაგრამ დიდი სიყვარული ამ გაჭირვებას ვერ დაუჩაგრავს...


ნაბადში გახვეული და თვალმონუჭული ვიგონებდი ყველაფერს, რაც კი უფროსებისაგან გამეგონა მამიდაჩემსა და ლაუ ბიძიანზე.

ძაბა და ლაუ კვლავ გატაცებით საუბრობდნენ. ო, როგორ ჰგავდა ეს ბაასი მათსავე ძველ სატრფიალო დიალოგს, ჩემმა მსახიობმა ძმამ რომ მომიტხრო!


— კეთილი ადამიანები არასოდეს ბერდებიან! — ვფიქრობდი მე და მოუთმენლად ველოდი იმ წუთებს, როცა მამიდაშვილები ყიყინით გამოიქცეოდნენ ჩემკენ.

ლაუს ურემი ჭრიალით მიდიოდა ქარიატისკენ...

10 ივლისი, 1985.



1797



ვლადიმერ უბილაჟა

დილით

დილით ამოვყავ სანგრიდან თავი — ჰყვავის ლამაზი იასამანი, ტანზეფეთქილი ალუჩა ჰყვავის, მიწას ახურავს მწვანე საბანი.

დილით ამოვყავ სანგრიდან თავი — რტოებს იმშვენებს ღვინისფრად ვაშლი, ხეებს აყრია ყლორტების ზვავი და ჰყევს გუგული შორეულ ბაღში.

თავს ვერ ვიკავებ... საღამო ყვავილით! ეს რა ვარდობა შემოპარულა! მაგნოლია დგას თუ თეთრი ნავი მღელვარე ტბაში ცურავს ფარულად.

ვეღარ ჩაკეტავს სურვილს სანგარი, სულს გაზაფხული ეწვია ურჩი. მინდვრები გიცდის შენ უანგარო, — ისევ ჩამძახის ნიავი ყურში.

და მე ამოვყავ სანგრიდან თავი — მიმწერს ირგვლივ ტყე, ყანა, ჭეჭილი... მაგრამ მოვარდა ტყვიების ზვავი და არა დარჩა დაუგლეჯელი.

1942.

უკვდავება

თბილისსა და წალენჯიხაში გაიმართა გულთბილი საღამოები, პოეტი-ჟარისკაცის ვლადიმერ უბილაჟას ნათელი ხსოვნის პატივსაცემად. იგი მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და აღარ დაბრუნებულა. პოეტი, რომელმაც ომი მძაფრად და წარუშლელი ფერებით ასახა თავის შემოქმედებაში, დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, სამოცდაათი წლისა იქნებოდა.

ვლადიმერ უბილაჟამ თქვა მართალი სიტყვა. გამარჯვების რწმენით გაჟღერებული მისი სტრიქონები სანგრებში, პირდაპირ ცეცხლის ხაზზე იწერებოდა. იცოდა პოეტმა, ვერაგი მტერი ვერ დაიმონებდა მის ქვეყანას. შუა ცეცხლში იდგა და მაინც მშობლიურ ადგილებზე ფიქრობდა, ოცნებით ელოლიავებოდა თავის მიწა-წყალს, სოფელს, სადაც აიდგა ფეხი, მეზობლებსა და მახლიკაცებს, რომლებთანაც გაიზარდა.

საქართველოს მწერალთა სასახლის ჰალარა კედლებს ახსოვს სტუდენტი ახალგაზრდა პოეტი, მოკრძალებით რომ შედიოდა სასახლეში. ახლა აქ, ღია აივანზე, აკაკის წყაროსთან, ომში დაღუპული მწერლების გვარებია მარმარილოში ამოკვეთილი. მათ შორისაა ომამღელი ლიტერატურული თაობის საუკეთესო წარმომადგენელი — ვლადიმერ უბილაჟა, უკვდავი სიცოცხლის მადიდებელი პოეტი.

ბარანტი ჯანია

ძველი სახლი

ირწეოდა ძველებური სახლი და კედლები ჭრიალებდნენ შიშით, როს მუქარა სახურავის ახდის ახლდა ქარის გუგუნსა და ყიჟინს.

მახსოვს, ღამით იღვიძებდა დედა, ო, რა ჯადო ჰქონდა სიტყვებს ამოს, რომ გრივალი ჩვენი კაკლის ხესთან ყუჩღებოდა... იმ სიტყვების გამო.

ღრო კი რბოდა და ჩვენს საწყალ ოდას ამსგავსებდა მოხუცს, წელში მოხრილს და ფიცრები, როცა ქარი ქროდა, ყურს იკლებდნენ სულწამლები ოხვრით.

რა სისწრაფით გაირბინეს წლებმა! რახანია, დედა აღარ არის, მაგრამ ისევ ცათა უფსკრულს წყდება და ღრიალებს ძველებურად ქარი.

და ქვის სახლის ყრუ კედლებში დღესაც, რომ ავაგეთ ჩვენ, შვილებმა, მკვიდრად, იმ ფიცრების ჭრიალის ხმა მესმის და ჩურჩული ნაცნობი და... წმინდა.

მონატრება

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ, თან რა ეშხით და კდემით მიხმობს და მიხმობს და მენატრება შორი ბავშვობა ჩემი.

მიხმობს და... ისევ ვავიპარები, სადაც მდინარე ბრწყინავს, რომ ვიოცნებო იმ უკარება გოგონებზე, როგორც წინათ.

მიხმობს და... ფეხზე ვხვდები ალიონს და ტოლ-სწორებთან ერთად მზეს ვესალმები, სად მწვერვალია და ზეიმია ფერთა.

მათემატიკას არც ვეკარები, — მივდევ ოცნების მირაჟს და ვაცნობ ლექსებს... და იბარებენ დედას სკოლაში ხშირად.

რა ჩქარა ვარბის ჟამი! — უხილა ვამებს მიბაძეს წლებმა, და თვალს ეცნობა ჩქერთა ქუხილი და თეთრი მთების წყება.

კვლავ ქრიან წლები, თითქოს ფრთები აქვთ (მე ვაჩქარებდი მაშინ!)... ღმერთო, რა ძლიერ მომნატრებია ჩემი სახლი და კლასი!

მონოლოგი დედის საფლავთან

დედა, ვინ თქვა, დაგივიწყე (ხედავ? შენს წინ თავს ვხრი ახლა). რა ვქნა, კაცი ჩქარობ მიწყვიტ, ხან აქა ხარ, ხან იქა ხარ.

ასწრებ ყოველს? — ხარობს გული ველარ ასწრებ? — დარდი გავსებს. ტკივილი და სიხარული გადასკვნია ერთუერთს ასე.

ვდგავარ ახლა შენს საფლავთან, სულს აკლია რალაც დიდი, სევდა გულისგულში ატანს, ცხოვრება კი... მაინც მიდის.

შენზე ვფიქრობ, ყრუოლა მივლის, გავს ბავშვობა ღამაზ სიზმარს, გვზრდიდა შვილებს შენი თბილი ხელის ჯადო და თილისმა.

მივდიოდით სადმე? — სხივი აკლდებოდა შენს თბილ მზერას, ვბრუნდებოდით? — ალერსივით სათნო იყო მაგ ხმის ქლერა.

ისევ ამტვრევს სულის კარებს იმა დღეთა მჩქეფარება... ...მე უწმიდეს შენს სამარეს ხელისგულით ვეფერები.

წავიდა ჩვენგან, სიმღერები კი ცოცხლობს ნაღდი, მისი გულიდან ჩანჩქერავით მოქუხდა ლექსი. ჰოი, მგოსნებო, ყველა დროის და ყველა ხალხის, მემკვიდრეობად ტოვებთ სიტყვას — უკვდავთა წესით.

მე მებრალემა ის მეღეჟსე, ვინც ცოცხალია და ვისი ლექსიც... არც ღვინოა და არც წყალია. და, უდიდამო, ზეზეულად კვდება სტრიქონი და მე ორმაგი სიბრალული მტანჯავს... ძალიან!

აფხაზურიდან თარგმანა ვივი ბარაიაშვილი.





# კვავავას

# გვასსულუჯი

შეხვალთ ამ ნათელ ოთახში და ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდებით.

კედლიდან დიდცხვირა ჭუჭა კაცი გიღიმით. აქეთ, ვეება ლოდებშუა, დევები ღრეობენ. ულვაშებაწკეპილი, კეთილი ყურცქვიტა მოლზე შემართულა და საცეკვოდ გიწვევთ.

ფანჯარასთან ჩამოკიდებულ სურათზე მზის სხივებია დახატული. სხივებზე მხარდამხარ ჩამომსხდარან რუსი და ზანგი, ინდოელი და უკრაინელი, გერმანელი და ქართველი.

ვისაც მშვიდობა და მეგობრობა სურს, ამ ჯადოსნურ სხივებზე მისთვის ყოველთვის არის შემონახული თავისუფალი ადგილი...

იღება ნათელი ოთახის კარი. პირველი მერცხალი მეოთხეკლასელი ლადო კიკვიძია. ლადოს გელა კოკაია მოჰყვება, გელას — რუსუდან როსტიაშვილი, რუსუდანს — ვია მგალობლიშვილი, ვიას — ლია სამუშია...

შემოდინ უხმაუროდ. ფანქრებით, ფუნჯებით, სახატავი ქაღალდებითა და ალბომებით ხელდამშვენებულნი.

სიჩუმე!

ოთახის კარი ცილა მასწავლებელმა შემოაღო. მეცადინეობა იწყება.

ასეა ყოველდღე: თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვა-ფერწერის კაბინეტში ერთმანეთს ენაცვლება ნორჩ მხატვართა წრეები.

ცილა კანდელაკი დინჯად დააბიჯებს ოთახში.

სხედან ნორჩები, სახატავ დაფებთან დაუხრიათ თავი, გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებენ სამუშაოს.

ნატურიდან გადახატვა დაამთავრეს. ახლა ქაღალდზე აცოცხლებენ, რაზეც ფიქრობენ და ოცნებობენ, რაც აწუხებთ, რასაც განიცდიან...

— ჩრდილები? — ცილა მასწავლებელი მეოთხეკლასელ მანუჩარ ალთუნაშვილთან ჩერდება.

„მშვიდობა“ — ასე დაარქვა მანუჩარმა თავის ნამუშევარს. მართლაცდა, ამ ამღერებულ ყვავილებს, უღრუბლო ზეცას, მზის სხივებით გაცისკროვნებულ გარემოს, როგორც ცილა მასწავლებელმა მიანიშნა, შთამბეჭდავი ფაქტურის შესაქმნელად, უფრო დახვეწილი კონტურები და მეტი შუქ-ჩრდილები სჭირდება...

— ფერების ტექნოლოგია დიაცავი, — ახლა გიორგი მარგიანის ნახატს დაცქერის აღმზრდელი. — საგანი რაც უფრო უკანა პლანზეა დახატული, მით უფრო მჭრქალდება. მოცულობა? უკანა პლანზე დახატული საგანი, ხომ ვთქვით, შედარებით მომცრო მასშტაბით უნდა წარმოაჩინო...

თითოეულ ბავშვს სხვადასხვა მიდგომა სჭირდება, ყველა მათგანს საკუთარი ფიქრი, განცდა, სამყაროს თავისებური აღქმა, საყვარელი თემატიკა და ჯერ კიდევ

დაუხვეწავი ინდივიდუალური ხელწერა აქვს.

გახედეთ, აგერ, ის, კუთხეში მიმჯდარი თვლებბდღვრიალა ბიჭი, გარიკ ვალოიანი, რა დასამალია, ონავარი იყო. ზარმაცობდა, სწავლას გულს ვერ უღებდა, გაკვეთილებს ხშირად აცდენდა და ქუჩაში დაეხეტებოდა.

როცა დედამ გარიკი ძალისძალად მოიყვანა აქ, საღებავში ამოვლებული ფუნჯის ხერიანად დაჭერაც არ იცოდა.

აბა ახლა ნახეთ: ვინც არ სწავლობს, ხატვისა და ფერწერის კაბინეტში არ იღებენ. გარიკ ვალოიანმა სწავლაშიც იბეჯითა, თავაზიანიც გახდა და ფერწერაშიც გაიწაფა ხელი.

ათვალიერებთ მის ჩანახატებს, ესკიზებს, ფაქიზად შესრულებულ კონტურებს, ორნამენტებს, შუქ-ჩრდილებს და ნათელი ხდება, რამდენ დროს, მონდომებას, მეცადინეობას, ფანტაზიასა და გატაცებას ახმარს ნორჩი მხატვარი თავის ნამუშევრებს...

პირველად, აი მაშინ, როცა კიკინებთანა მელანო კოპლატაძემ თავისი ნახატები მოუტანა ცილა მასწავლებელს, მაინცდამაინც ვერ იყო საქმე კარგად.

ნიჭმა, მოწადინებამ, გამოცდილი პედაგოგების მეცადინეობამ თავისი გაიტანა. მელანო კოპლატაძე ნორჩ მხატვართა შორის ახლა საკუთარი ხელწერის მაძიებელი ნიჭიერი შემოქმედი...

მეცადინეობა გრძელდება. სხედან პატარები, ხატავენ, გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებენ თითოეულ დეტალს.

ცოცხლდება ჩანაფიქრი. შტრიხი შტრიხს ემატება. იხვეწება კონტურები, უფრო ნაზი, შთამბეჭდავი, ბუნებრივი ხდება ფერთა მრავალფეროვანი გამა.

ფერწერის საიდუმლოს შეცნობა ამთავითვე მოითხოვს დღენიდაგ შრომას, ძიებას, მიგნებას, საკუთარი ხედვისა და ხელწერის გამომუშავებას...

წინ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. ამიტომაც არის, ხატვისა და ფერწერის კაბინეტიდან ნორჩები ხშირად რომ დაჰყავთ ექსკურსიებზე. ჭეშმარიტი მხატვარი კარგად უნდა იცნობდეს არქიტექტურულ ძეგლებს, სისტემატურად ათვალიერებდეს სამხატვრო გალერეებს, ხელოვნების მუზეუმებს, გამოფენებს...

ტრადიციად დამკვიდრდა: ნორჩ მხატვრებს ხშირად ხვდებიან პიონერთა სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტში აღზრდილი ფუნჯის გამოჩენილი ოსტატები. ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი მხატვრები ნორჩ მეგობრებს უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, ესაუბრებიან სახვითი ხელოვნების საინტერესო საკითხებზე, არიგებენ, ეხმარებიან ჩანაფიქრის სწორედ გააზრებასა და გადაწყვეტაში...

სანთელ-საკმეველს არც არასოდეს დაუქარგავს გზა.

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერ-მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მხატვრებმა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებზე არაერთგზის დაიმსახურეს ჯილდოები, დიპლომები, საერთო მოწონება და აღიარება. შარშან, ფინეთში მოწყობილ ბავშვთა სახვითი ხელოვნების მე-9 საერთაშორისო გამოფენაზე, თბილისის პიონერ-მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მხატვარმა ლევან ჯანგირაშვილმა, წარჩინების დიპლომი დაიმსახურა.

რიგის საკავშირო ბავშვთა სამხატვრო გამოფენაზე წელს სიგელები მიიღეს არნო ჩაკვეტაძემ, ფატი ჯულელმა, ეკა ლორთქიფანიძემ, ეკა კობაიძემ.

ჩვენმა ნორჩმა მხატვრებმა წარმატებები მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ ბავშვთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენაზე, ჟურნალ „სოვეტსკაია ყენშინას“ მიერ ახლახანს მოწყობილ საერთაშორისო კონკურსში, საკავშირო და რესპუბლიკურ სხვადასხვა შეჯიბრებაში...

ნათელი ოთახი ისევ ივსება ბავშვებით. ერთმანეთს ენაცვლებიან გამოცდილი აღმზრდელები: რაფიელ მაყაშვილი, ლილი ნეფარიძე, ტატა ბაქრაძე, ლულუ დადიანი, ლადო ასათიანი...

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის წლევეანდელი ფესტივალისადმი მიძღვნილ სამხატვრო გამოფენაში თბილისის პიონერ-მოსწავლეთა სასახლის ნორჩებიც მონაწილეობდნენ.

აია გელუბაშვილი

# მამო, პირო ხარ ჭკუერი

თბილისი, ანაგის ქუჩა 18-ა, ბინა 26. ვსხედ-ვართ მხატვრისა და მოქანდაკის ვლადიმერ ჩხეიძის მყუდრო, გემოვნებით მორთულ ბინაში. ამ ოჯახზე ჯერ კიდევ სურამში, „ლესიანობისას“, მიამბეს. უფრო სწორად, ამ ოჯახის ერთ-ერთ შტოზე დიასახლისისა, ქალბატონ ცილას მხრივ. თუმცა მივყვით თანმიმდევრობით.

... თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ერთ-ერთ სტენდთან ექსკურსიამძღოლო ნონა წერეთელი შეჩერდა, ერთხანს დუმდა, როგორც მერე გავიგე, ამგვარად მიამბებდა პატივს მათ, ვისზეც ექსპონატები მოგვითხრობდა.

ექსკურსიამძღოლის მონაყოლმა გამოაცა თავისი არაჩვეულებრიობით. ვფიქრობ, ეს უნდა იცოდეს ყველამ, დიდა თუ პატარამ, საქართველოშიც და უკრაინაშიც, რამეთუ ქვემოთ ისტორია ღირსაა იმისა, რომ მასზე ითქვას, დაიწეროს, სიმღერები შეითხზას.

ჰოდა, ადრე ვაგონილს ვაერთებ ამბავთან, რომელსაც აღჩქარებლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ცრემლნარევი ხმით მიყვებიან ანაგის ქუჩაზე.

სანამ ქალბატონი ცილა ტრადიციულ ქართულ ჩაის აყენებდა, მოვიდა მისი უფროსი და თამარი და კიდევ რამდენიმე ნათესავი. საუბარი გამოცოცხლდა, მასში ყველა დამსწრე ჩაერთო. იხატებოდა კოლექტიური სურათი, იქმნებოდა ხაერთო ლეგენდა...

იყო და არა იყო რა, იყო ორი ბიჭი, ორი მეოცნებე ყმაწვილი. ერთი თენგიზ უზნაძე — ცხოვრობდა თბილისში, ჩაიკოავის ქუჩაზე, მეორე — კოსტა ტერნოვი — ოდესაში, სახელგანთქმულ ფანტანაზე, სადაც სეირნობა უყვარდა თვით ალექსანდრე ივანეს ძე კუბრინს, ხოლო შეზარხოშებული ოსტაპ ბენდერი პატარებს საუკეთესო კანფეტებს ურიგებდა... ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, თავთავისთვის, ექვდაც არ იცოდნენ ერთმანეთის არსებობა. თენგიზს ზღვა არასოდეს ენახა. სკოლის დამთავრების შემდეგ ექიმობაზე ოცნებობდა. კოსტიას არასოდეს შეეველო თვალი კავკასიონისათვის და, ცხადია, მეზღვაურობას აპირებდა. ჯერჯერობით კი ბიჭები სკოლაში დადიოდნენ, დასდევდნენ ბურთს და ვერც კი წარმოედგინათ, ბედი რა განსაცდელს უშაბდებდათ...

სპეციალური მოსამზადებელი კლასის დამთავრების შემდეგ კოსტია ტერნოვი პოდოლის საარტილერიო სასწავლებელში მოხვდა, თენგიზი კი სკოლის მერხიდან პირდაპირ ჯარში, ლიტვაში აღმოჩნდა.

— თენგიზის პირველი წერილი ივლისის ბოლოს მივიღეთ, — ჰყვება თამარ უზნაძე, უკვე ხანდაზმული მანდილოსანი. — ფეოდოსის რომელიღაც ჰოსპიტლიდან იწერებოდა. როგორც მერე გაირკვა, მსუბუქედ ყოფილიყო დაპირილი. სანამ კოსტია სასწავლებელს დაამთავრებდა, კაბუკი გამოკეთდა და მოქმედ არმიას დაუბრუნდა, სადაც სწრაფად აითვისა ნაღმმტყორცნელის პროფესია, გულად აღიკვდა მოსკოვს.

თამარი (თუ ცილა) 1942 წლის „პრავდის“ ერთ-ერთი ნომრის ამონაჭერს მიჩვენებს. მწერალი და პუბლიცისტი ევგენი კრიგევი წინა ხაზიდან გამოგზავნილ ნარკვევში ჰყვება ნაღმმტყორცნელ თენგიზ უზნაძეზე, რომლის ოცეულსაც ერთ-ერთ ბრძოლაში მტრის ასეული მოესპო. ნარკვევი ცხელ კვალზეა დაწერილი. ავტორს ხიბლავს გმირის მეტისმეტი სიმორცხვე, მისი თითქმის ბავშვური სახე, ცისფერი თვალები...

მძინეარებდა დიდი სამამულო ომი... იქ, ცეცხლის ხაზზე, სანგრებში, იწერებოდა ჩვენი ბიოგრაფია, იქმნებოდა ჩვენი ისტორია. თენგიზი რომ გადარჩენილიყო, ალბათ მოგვიყვებოდა, თუ როგორ წერდა მოსკოვის მისი დამომებთან პარტი-აში შესასვლელ განცხადებას...

გახსოვთ, კონსტანტინე, როგორ იღქმით ამხანაგების, უფროსების წინაშე და იფიცებოდით, არც ერთი ნაბიჯი უკანო? სხვადასხვა ნაწილებში იბრძოდით? ეგ სწორია, მაგრამ ფრონტი ერთი გქონდათ, მოსკოვის მერე თქვენც და თენგიზიც სტალინგრადის ფრონტზე უტევდით მომხდურს. ვახსოვთ, ორმოცდასამში უფროს ლეიტენანტ უზნაძეს, ბატალიონის მეთაურის დაღუპვის შემდეგ უფროსობა თავის თავზე რომ აიღო, როგორ მოვევლინეთ ვაკურების ტალკევსად, როგორ შეაშველეთ ტანკაწინააღმდეგო ცეცხლი? ო, რა ჯოჯოხეთური დღეები იღა! თქვენთვისაც კი, ვისაც თოფისწამლის სუნი კარგა ხნის წინათ ეყნოსა...

თენგიზი იქ ისევ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და თქვენ ერთად, მხარიმხარ ურტყამდით, არბევდით მტერს... ახალბედა უკვე აღარ გეტქმოდით, შუბლზე ნაადრევი ნაოჭები გაჩენილდით, თვლებში სევდა ჩავდგომოდით (კონტია, შენ არ იცოდი, სად იყვნენ შენიანები, დაიღუპნენ, გადარჩნენ თუ სადმე ფაშისტურ კატორღაში დაფადნენ სულს); ვაქციობისა და სიმტკიცის დასტურად თქვენს მკერდზე უკვე კიაფობდნენ ორდენები.

— იწერებოდა, გმირობაზე წარმადგინესო, — ჰყვებიან თენგიზის დები. ექიმები მის განთავისუფლებას მოითხოვდნენ, მაგრამ თვითონ ვაჯიქდა. არავითარ შემთხვევაშიო.

— გენერალმა ჩანჩიბაძემ თენგიზი საშტაბო სამუშაოზე დასვა, მაგრამ იქაურობას გული ვერ დაუდო, წინა ხაზზე გაიქცა.

— შეეძლო, სულაც შინ დაბრუნებულიყო, იმდენი ჭრილობა ჰქონდა.

ეჰ, დები, დები! შეეძლო, თანაც არ შეეძლო. და თქვენ ეს მშვენიერად იცით. თქვენც ხომ შეეძლოთ ორ-ორი ცვლა არ მდგარიყავით ჩარხებთან, მაგრამ იღქმით; შეეძლოთ, არ წასულყავით პარტიზანულ რაზმებში მოწყალეების დებად, მაგრამ მიდიოდით; შეეძლოთ, არ გაველოთ ფრონტისათვის უკანასკნელი ლუქმაპური, მაგრამ იღებდით... ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის... ეს იყო ჭეშმარიტება, წმი-

დათაწმიდა მოვალეობა ყველასათვის — ზურგშიც და ფრონტზეც. ამიტომაც ვერ ტოვებდა თანამებრძოლებს თენგიზი, ოცი წლის კაბუკი, პოლიტმუშაკი, ათასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში. მას, როგორც ყველსაც ვერცხეტეტულსა და გამოცდილს, რომელსაც უკვე შეუძლია, აქვს უფლება აღზარდოს სხვები, იყოს სანიმუშო სხვათათვის, მიანდეს ეს პასუხსაგები უბანი.

და, აჰა, ისიც, ვოლგაზე მოპოვებული გამარჯვება! სტალინგრადმა გაუძლო დელგმას!

ბედი კი ისევ ხან სად მოგისროდათ და ხან სად. ბოლოს ფრონტი მიუსზე შეჩერდა. შეჩერდა დროებით, რადგან მეორე დამკვერელი არმია, რომლის მებრძოლბადაც თქვენ ირიცხებოდით, სტალინგრადის ბრძოლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ წარმატებით ერკებოდა მტერს დასავლეთით. აქ, მიუსზე, ნაწილებს ძალები უნდა მიეკრიბათ ახალი ძლევამოსილი შეტევისათვის.

— მიუსზე რთული ვითარება შეიქმნა, — ჰყვება იმ ბრძოლების მონაწილე პლატონ ფოფხაძე. — გერმანელები მარჯვენა, მაღალ ნაპირზე გამარდნენ, ჩვენ მარცხენა, დაბალ ნაპირზე ვიყავით. მდინარე უნდა გადაგველახა.

ოპერაციის სირთულე ყველას ესმოდა. — ათასეულის მეთაურის მოადგილეს პოლიტნაწილში კაპიტან უზნაძესაც, ტანკაწინააღმდეგო გამანადგურებელი დივიზიონის საარტილერიო ბატარეის მეთაურს, უფროს ლეიტენანტ კონსტანტინე ტერნოვისაც.

ჯერ, როგორც წესი, საარტილერიო მომზადება დაიწყო. ათასობით ლულა უშენდა ცეცხლს მოწინააღმდეგეს, ათობით მოიერიშე და ბომბდამშენი თვითმფრინავი რისხვასავით ევლინებოდა წამდაუწყემ. როცა კანონადა მიწყნარდა, გაისმა ბრძანება, „წინ!“ და მეომრები ადგილიდან მოწყდნენ. კაპიტანი უზნაძეც მათთან იყო, მოიერიშეთა შორის, მის სიტყვასა და მოქმედებას ფასი ჰქონდა, რადგან უკან არასოდეს დაუხევია, არ დაუცდია ხელსაყრელი მომენტისთვის. იგი ჩქარობდა. საცა მდინარეში შეტობავდა და აქ უცებ რაღაცამ დაარეტიანა, თვალთ დაუბნელა, გონება წაართვა, მიდამოს ერთბაშად ბურუსი გადაეფარა, მხოლოდ გაურკვეველი გუგუნოდა ესმოდა. ბოლოს ისიც მიწყდა.

... ტერნოვის საარტილერიო ბატარეას მტრის ტანკები უნდა შეეჩერებინა. არ გაეშვა არც ერთი ტანკი, რომელიც შესძლებდა მოიერიშეთა რიგებში შეჭრას ან ფლანგიდან დარტყმას. ცხრაამეტო წლის მეთაური ფიზილად ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. მალე პოზიცია უნდა შეეცვალათ. ქვეითები წინ გაიჭრნენ და საჭირო იყო მათი ტანკებისგან დაცვა. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდათ. კარგად შენიღბული ქვემეხები უშენდნენ ჩვენი ნაწილების განლაგებას, ჭურვები ზოგჯერ შიგ პოზიციის ცენტრში ცვიოდა. უფროსმა ლეიტენანტმა კონსტანტინე ტერნოვიმ ვერ გაიგონა, მაგრამ იგრძნო, როგორ გასკდა შორიანლო ჭურვი. განმეორდა თენგიზ უზნაძის ისტორია.

ვინ გამოიყვანა იგი ბრძოლის ველიდან? სად არიან ის ჯარისკაცები, ის მედიცინის დები? ცოცხლობენ თუ უღმომბელი ბედი მათაც გაუსწორდა? თუ იციან, ვინ გამოიყვანეს, ვის გვერდით დააწვიანეს, ვისთან დაამოძილეს საუკუნოდ?

მომედ დაპირილები სამედიცინო ბატალიონში პირველი დახმარების მერე ომის ჯოჯოხეთიდან შორს, ზურგში ვაგზავნეს. ქართველი ასე თუ ისე გონს მოგო, უცნობი კი (ტერნოვი რატომღაც უსაბუთოდ აღმოჩნდა) სიცოცხლის ნიშნაწყობად არ ეტყობოდა. ლუგანსკის მისი დამომებთან ორივეს ურთულესი ოპერაცია — თავის ქალის ტრეპანაცია ჩაუტარეს. ბიჭებმა გაუძლეს. თენგიზმა ყური მოჰკრა, როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს ქირურგებმა, იყოს, ერთბაშად ვერ მოითმენსო. მათი სიტყვების მნიშვნელობა მერე გაირკვევა: თურმე თავში ღრმად ჩამდარაიყო ჭურ-



ვის რამდენიმე ნამსხვრევი, რომელთა ამოღება იმ პირობებში ალბათ არ შეეძლოთ. ბრძოლები არ წყდებოდა, დაპირებები მოჰყავდათ და მოჰყავდათ, ექიმები ძლივს ასწრებდნენ მათთვის პირველი დახმარების აღმოჩენას.

ჰოსპიტლის პალატაში თენგიზი და კოსტია გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ.

— მივდიოდი, დავხედავდი იმ საცოდავებს და მოწოლილ ცრემლებს ვერ ვიკავებდი, — ჰყვება ანა ადამენკო (ამჟამად ველეგურა, კიროვოგრადის ოლქის სოფელ ვესელოვსკის მცხოვრები), ჰოსპიტლის ყოფილი სანიტარი. თვითონაც ოცი ძლივს შესრულდებოდა, მაგრამ თავის წლინახევრის ბიჭუნასთან ერთად მიიჩქაროდა პალატაში, უყვლიდა, თავს ევლებოდა დაპირებებს.

— რამდენიმე წლის წინათ, უკვე ვესელოვსკიში, ტელევიზორს ვუყურებდი. უცებ გული შემიტოკდა. კი, ეს იმათზე ჰყვებიან, თენგიზსა და კოსტიანზე. ეს ისაა, ისაა, კოსტია ტერნოვოი. შავვკვირმანი, ტანმაღალი, წარბებხშირი... ქართული კინოსტუდიის ფილმს „ძმები“ ერქვა. ყველაფერი სწორია, ქართველებს არ დავიწყნიათ საბრძოლო ძმადნაფიცობა.

იმ დამესვე დავწერე ბარათი კიევში, პროფესორ ტერნოვისთან. მალე პასუხიც მივიღე. ბარათის კვალდაკვალ თვითონაც ჩამოვიდა, გახარებული, მადლიერი, აღელვებული... თვალბეზღი ცრემლი ედგა. მეხვეოდა, მკოცნიდა, თვალს არ მასწორებდა. ეს თქვენა ხართ, ანია? კი, თქვენა ხართ. გმადლობთ, ძვირფასო, ორივე ჩვენგანისაგან დიდი მადლობა...

... ისინი კი წვანან მთელი კვირა, მთელი თვე. არც უარობა ეტყობათ, არც გამოკეთება. ახალგაზრდა ორგანიზმი ებრძვის, სიკვდილს არ ნებდება, „უცნობი“ უკვე გონს მოგვს, კონსტანტინე ტერნოვოი მქვია, უფროსი ლეიტენანტი ვარო, ოდესელი. დედ-მამა სადაა, არ ვიციო... მან არ იცის, მაგრამ თენგიზმა, ქართველმა ხომ იცის. ოღონდ შინ წერილის გაგზავნისა და დაჭრის შეტყობინების ნებას არ იძლევა. გამოკეთდები და თვითონ ჩავალო. იტანება, აუტანელ ტკივილებს გაძნობს თავის არეში. გონდაკარგული ყამიდან-ყამად წამოიძახებს „დედა, დედაო“... რას ნიშნავს ეს სიტყვა, არავინ იცის... ეჰ, თურმე მშობელს უხმობდა!

ჰოსპიტალში ქართველი ექიმი ქალი მსახურობდა თურმე, ევგენია რქმევი, გვარი აღარ ახსოვთ. პალატის შემოვლისას ის ქართული „დედა“ გაუგონია და უმაღლივნი გაქცეულა. ომში მძა დაკარგვოდა უგზო-უკვლოდ და სულ იმედოვნებდა, იქნებ სადმე გადავიყარო. გამოვლაპარაკენ ერთმანეთს, გახარებით, ორივე თბილისელი რომ აღმოჩნდა. პოდა, ევგენიას წერილი მიუწერია თენგიზის მშობლებისთვის, მიუწერია სრული სიმართლე. სიმართლე კი ასეთი იყო: ჩამოდით, იქნებ ცოცხალს ჩამოუსწროთ და შინ წაიყვანოთ, რადგან მეომრად უკვე აღარ ივარგებთ.

— ის წერილი რომ მივიღეთ, იმედი გადაწურული გქონდა, რამდენიმე თვე არაფერი გვსმენოდა თენგიზზე, — ჰყვებიან თამარი და ციალა, უზნაძის დები. — რა თქმა უნდა, მაშინვე წასვლა გადავწყვიტეთ, ეგრევე, დაუყოვნებლივ.

ოჯახისათვის რამდენიმე ფუთი სიმინდი გქონდა გადანახული. ძლივს ვყო მამას ბილეთისა და საგზლისთვის. ნეტავი, ცოცხალს ჩაუხსრებდნენ, ნეტავი, ცოცხალს ჩაუხსრებდნენ, ივედრებოდა მამა. გზები და ბილიკები იხლართებოდნენ ერთმანეთში, მიჰქროდნენ საღვთო შეუცნობად. ეს უფრო ბოღვას ჰგავდა, მაგრამ იმ ავადმყოფურ ხილვებში ცხადად გამოკვეთილიყო ქართლის ძველი სოფელი სამთავისი, სადაც ოციან წლებში შაქრო უზნაძე ძმასთან, გიორგისთან ერთად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას ამკვიდრებდა. გიორგი პირველ სასოფლო-სამეურნეო არტელს ჩაუდგასათავავეში, თვითონ კი სასოფლო საბჭოს. მშფოთავარი, ფათერკიანი ღრო იყო, ცოტა ხნის წინ მტრებმა სახალხო ხელისუფ-

ლების პირველი წარმომადგენელი მოკლეს, ემუქრებოდნენ მათაც. ერთხელ წყალსადენები გადაკეტეს. ბანდის მოსაგერიებლად ძალები არ ჰყოფნიდათ, მდგომარეობა დღითიდღე რთულდებოდა. სოფლის უწყლოდ დარჩენა სიკვდილს ნიშნავდა. მაშინ, იხსენებდა შაქრო უზნაძე, არტელის წევრებმა გადაწყვიტეს, წყალი სოფლის ცენტრში ექებნათ. გათხარეს ჭა და ლენინის სახელი დაარქვეს.

ნეტავი, ცოცხალს ჩაუხსრებდნენ!.. ნეტავი, ცოცხალს ჩაუხსრებდნენ!..

რამდენიმე დღე-ღამეში მაინც ჩააღწია სვერ-ლოვსკამდე (დღევანდელი ვოროშილოვგრადის ოლქშია). მთარგმნელის შენიშვნა, მოძებნა ჰოსპიტალი და შიგ შეშლილივით შეიჭრა. — ცოცხალი ხარ, შვილო!.. შვილი კი, შვილები კი გვერდიგვერდ იწვნენ, მონუსხულები შეჰყურებდნენ მამას...

— წამო, სახლში, შვილო, იქ მალე გამოვაკეთებთ, ფეხზე დაგაყენებთ,

— გმადლობთ, მამა, — უღონოდ მიუგო ჭაბუკმა, — აგერ, ხომ ხედავ, ჩემსავით მძიმედ დაჭრილი ოდესელი კოსტია ტერნოვოი წევს... ის ჩემი ძმადნაფიცია, ძმამ ჩემი. უიმისოდ, მამა, არსად არ წავალ.

— კეთილი, კეთილი, — უფრო გაუხარდა მამას. — ერთად წავიდეთ, აქამდე ერთი ვაჟი მყავდა, ამიერიდან ორი მეყოლება.

დები ატირდნენ, მზერა უნებურად შეაჩერეს თენგიზისა და კოსტიას სურათებზე.

— მამა რომ ცოცხალი იყოს, უკეთესად მოჰყვებოდა, — სინანულით ამბობენ დები.

— უკეთ, აბა, როგორ უნდა მოჰყვე? როგორ უნდა გადმოსცე უფრო ვრცელად მათი შინ დაბრუნება? უკვე ციოდა, გზები გაქედილი იყო ტრანსპორტითა და ხალხით. ორი უშუალო ჯარისკაცი კი ფეხზე ძლივს იდგა. კოსტია ყავარჯენებს ეყრდნობოდა, თენგიზი კი დროდადრო გონებას კარგავდა. მამას ორი ჩემოდანი ჰქონდა. ჯერ მათ წაიღებდა რამდენიმე მეტრზე, მერე მობრუნდებოდა, ბიჭებს თითო-თითოდ მიიყვანდა იმ ჩემოდნებამდე და ჩამოსვამდა. ასე მიალწევდა ხოლმე რომელიმე ტრანსპორტამდე... დონის როსტოვი, სტავროპოლის თვალუწვდენი ტრამალები, გროზნო, ბაქო... არც მშვიდობიანი ყამისთვისაა ეს გზა იოლი. ახლა ამას დაუმატეთ ორი მძიმედ დაჭრილი, რომლებსაც სამედიცინო მეთვალყურეობაც აკლიათ და სურსათ-სანოვავეც... თენგიზს მარცხენა ხელფეხი დამბლამ წაართვა, გაუხშირდა ეპილფსისის შეტევები...

მახსენდება ფილმი „ჯარისკაცის მამა“... აქედან, ამ ლეგენდარული ისტორიიდან ხომ არ აუღიათ-მეთქი ქართველ კინემატოგრაფისტებს სიუჟეტი, თავიანთი სურათისთვის ასე რომ გვანცვიფრებს სიმართლით, ადამიანურობით, ჰუმანიზმით. მამა-შვილისა და უკრაინელი ჭაბუკის თავდადასავალი ხომ იმათივე გაგო მთელმა საქართველომ!..

და ისევ ჩაიკოვსკის ქუჩა, სადაც იზრდებოდა კაფანდარა, ლამაზთვალემა ბიჭი, რომელსაც ბურთის თამაში უყვარდა და ექილობა ეწადა. უზნაძეებმა გაიჭირვეს, შემჭიდროვდნენ, ცალკე ოთახები დაუთმეს დაჭრილთ (კოსტია უკეთეს ოთახში მოათავეს, ასე ისურვა თენგიზმა), მათთვის მოჰქონდათ ყველაფერი, რაც საუკეთესო გაჩნდა... თამარი ქალაქგარეთ, წყალსაქაჩის მშენებლობაზე მუშაობდა, იქ ბატკანი გასაუბა, ქალა გარეული თაფლი მოაგროვდა, — ყველაფერი მათთვის, მხოლოდ მათთვის უნდოდა... აკთხავდნენ თენგიზს სკოლიდან, გაზეთებიდან, რადიოდან.

— ჩემს დამსახურებაზე ნუ ილაპარაკებთ, მე ვაკეთებდი იმას, რაც თითოეულ ჩვენგანს უნდა ეკეთებინა, — სთხოვდა თენგიზი მშობლებს.

... ისინი მხოლოდ ოცისანი იყვნენ. ტკივილი ოდნავ რომ გაუვილიდათ, საუბრობდნენ და ოცნებობდნენ. რა თქმა უნდა, ისევ ზღვასა და მედიცინაზე, ომსაც ვერ ჩაეკლა მათში ჭაბუკური მისწრაფება... მაგრამ დაჭრილებს გამოჩანსაღებდა არ

ეტყობოდათ. მოვლა-პატრონობა არ ჰკლებოდათ, დედა — ანა ალექსანდრეს ასული და დები სოფოლიდან არ შორდებოდნენ, მაგრამ ეს იყო, წამლები და სურსათი არ ჰყოფნიდათ. თენგიზს და კოსტიას უნებური მოთხოვნით ბიჭები ჰოსპიტალში მოუტანეს. გაზაფხულზე თითქოს შექნებოდა და ეტყოთ (უკვე ნახევარი წელი იყო გასული!) და ექიმებმა კვლავ შინ დაბრუნების ნება დართეს.

— სოფელში წავიდეთ, შვილებო, სოფელში გაცილებით უკეთ იქნებით, ვიდრე ქალაქში, — თქვა მამა.

თენგიზს ახსოვდა სამთავისი. სასკოლო არღანეებზე მშობლებს ნათესაებთან ჩაჰყავდათ და მთელ ზაფხულს იქ ატარებდა ხოლმე.

ჭაბუკები მართლაც გამოცოცხლდნენ, თანდათან დაივიწყეს ჰოსპიტალი, მოლონიერდნენ. საღამომით, როცა მზე მწვერვალს მიღმა ჩაესვენებოდა და სოფლის შემოგარენში უკვე ვეღარ ისერიებდნენ, მერამდენად იხსენებდნენ უკანასკნელ ბრძოლებს, უკანასკნელ შეტაკებას მიუსთან... როგორ მოხდა ყოველივე? რა თქმა უნდა, ომი სერი რომლია, იქ ყოველ წუთს უნდა ელოდებოდა დაჭრას, სიკვდილს თუ არა... თუმცა მოგონება რას არგიათ? ახლა ახალ ცხოვრებას უნდა შეეგუონ. იქ ჰპოვონ საკუთარი ადგილი... საცაა ოდესას გაათავისუფლებენ. კონსტანტინემ წერილი გაგზავნა, რომელსაც საველე ფოსტებში დიდხანს ხეტიალის მერე მაინც მიეგნო ადრესატისთვის. მშობლებისგან პასუხა მოვიდა... უნდა გავემგზავრო, თქვა კონსტანტინემ, ასე, ყავარჯენით, სანამ ჩავალ, მოვრჩები კიდეც.

— რა გაეწყობა, ადრე თუ გვიან ასეც უნდა მომხდარიყო. ოღონდ სადაც არ უნდა იყო, გახსოვდეს, ძმა რომ გყავს. იგი ყოველთვის მზადაა, შენს გვერდით იდგეს. — თენგიზს ეს სიტყვები რომც არ ეთქვა, კოსტიასთვის მაინც ყველაფერი ცხადი იყო.

ორმოცდაათხის ადრიან შემოდგომაზე, დაჭრიდან ერთი წლის შემდეგ, ისინი უკანასკნელად გადახვედნენ ერთმანეთს. კოლმეურნეობამ უზნაძეებს ურემი ათხოვა და თვალცრემლიანმა მასპინძლებმა საკუთარი შვილივით გააცილეს ტერნოვოი სადგურზე, უსურვეს გზამშვიდობისა.

მალე თენგიზი უარესად გახდა, იმ რამდენიმე ჭურვის ნამსხვრევაზე ჰოსპიტალში რომ ვერ ამოუღეს, ისევ შეახსენა თავი. დაიწვა, დაიფრფლა ბიჭი, დედის ხელში დალია სული. შვილის სიკვდილს მშობელიც გადაჰყვა, თითქოს შვეთშიაც თავზე უნდა დასდგომოდა, შეემსუბუქებინა მისთვის აუტანელი ტანჯვა-წამება.

იტალიის ეროვნული გმირი ჯუზეპე მაძინი ერთ თავის ნაცნობ ქალს წერდა, ყველაზე საუკეთესო წიგნი ის აღამიანია, რომელიც თავისი სიჭაბუქის ოცნებებისა და პროგრამის ერთგული დარჩაო. ამ მართლაც შექსპირული ძალის ტრაგედიის ერთ-ერთ გმირს არ დასცალდა აუდიტორიის წინაშე არჩეული პროფესისადმი ერთგულების ფიცი დაედო. მეორე მოქცევაში გამარჯვების დღესასწაულს და გულში მტკიცედ ჩაიდო მეგობრის ოცნების ასრულება.

— თენგიზის სიკვდილმა თავზარი დამცა. მაშინ გადავწყვიტე, მის მაგივრად მეცხოვრა და მემუშავა, — ამბობს კონსტანტინე სერგის ძე ტერნოვოი.

მე მას დიდი ხანია ვიცნობ და ამიტომ არ მიკვირს, ეს ოდნავ უჩვეულო განცხადება. ის რაც მეცინიერს გაუკეთებია, მართლაც რამდენიმე კაცს ეყოფოდა. იგი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა... გარდა ამისა, უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის მთავარი ტრავმატოლოგი და ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსიცაა...

ერთმანეთი დიდი ხნის წინათ გავიცანი. ალბათ პარადოქსულად უდრეს, მაგრამ ასე იყო, — ლესია უკრაინკამ დაგვაახლოვა. მე პოეტის ცხოვრებაზე წიგნს ვწერდი, კონსტანტინე ტერნოვოი კი მის ავადმყოფობას იკვლევდა.

# ლექსები

## ზურაბ ლორთქიფანიძე

### ეს მშვენიერი ეზო და სახლი

სვანეთის უბანს აწვდიან მათობის კუჭა. აჰ, ნომარ ოცდაათწლიანი სახლი, ცხომ-რობანი მხატვრები ლეონ და ლარისა ბერძნულ-ჩაგვილიანი.

კეთილი, ოდნავ ამაყი ტონის, იგი ფიფქია პირველი თოვლის...

და ჯიშინი ვარდის დედანი სიფაქიზე სურნელშემდნარი,

მოგვევლინება ტურფა სახლ-კარში, ასკილის ძირში ტბილ ტაბლას გამლის.

ჭვანეთის უბანს ქუჩა და სახლი სინარულსა და სიყვარულს აღვრის.

ეს ვითომც ეზო — წარსულის მითი, სანტიმეტრებზე ცოტათი დიდი,

ხშირფოთლოვანი, ნაზი და კობტა, სადაც იწყება ფერთა გამობდა...

მომჯადობლად ღვრის ფერებს მიწა, მის ყვავილებზე საღამო მიწვა.

მეორე ეზომ კლდეთა სიუხვით, მე მომაგონა ვაჟის ჭიუხი.

ჩამოკიდული ვარსკვლავებიდან ბილიკი მორბის სხივთა მტკრევითა.

ეს რა სიმძლავრემ, რა სილამაზემ, ოცნების ფრთები გაშალა ასე.

სანტიმეტრებში ჩასმული ეზო, წინ უზარმაზარ სივრცედ აღვზნო.

სიწითლეს მატებს ვარდს მხატვრის ხილვა, ისიც ამისთვის ამოწვერილა.

მხატვრის რხევა აქვთ გადადებული — მიტომ კეკლუცობს ხე თვითეული.

ბულბული დილით, თურმე, სულ დნება, მასაც სიმღერის სძრავს ტკბილი ვნება.

ის გალობს მისთვის და მის სარკმელთან, სად დღედაღამე ერთად გამთელდა.

მეც მომეკიდა რალაცა წმინდა და ამ ოჯახზე, სიმღერა მინდა.

მარადის ქება, ქართული მიწის ასე სათუთად შეყვარებისთვის!..

## გიორგი შთიქაური

### ფუტკარი

ამდენი კოცნა... ამდენი სატრფო...

ამდენი სუფთა ნექტარი ტკბილი...

ის გადაუფრენს ცის კიდეს, ტანობს და კვალში სუნთქვა გაჰყვება დილის.

დაპბრუნავს კორდებს სიამით ხავსეს და მისი გული სილადით ფეთქავს.

დაპკონის ყვავილს და კოცნის ფასად ის ყვავილისგან ღებულობს ნექტარს,

ვით სიყვარულის ხანუკვარ სახმელს, რომელიც ფუტკარს აბრუებს, ათრობს...

აქედან ფრთების შერხევით გასწვებს

და სხვა ყვავილთან შეხვედრას ნატრობს.

და ბუხის... მისი ბუხილი მიწას ჩაესის, როგორც სიმღერა-ჭაფის, შემდეგ კვლავ სკისკენ გამოსწევს მკვირცხლად, თაფლი და ფიჭა, ფიჭა და თაფლი,

რომ შეამზადოს, ლექსივით შეთხზას და სიყვარულის ნაყოფად სახოს. ის იზიარებს მინდვრების ექსტაზს და დღე და ღამე სიტბოში სახლობს.

ბუხის... მოძებნის ყვავილებს სათნოს, როგორც სატრფოებს მიუძღვნის ქებას,

საოცარია, ამდენი სატრფო ჰყავს და ყველასი ერთგული რჩება.

ო, თანაბარი სითბოთი უყვარს ყველა ყვავილი ბუხილა ფუტკარს...

## ერთბულ დასტაძარს

ვინა თქვა: შენ და საქმის ღალატი? უერთგულესი ხარ დასტაძარი და სინდისივით სუფთა ხალათით, სიკვიდის პირდაპირ გულში დაჭარი.

და სხვის იარას წამლად ედები, სხვისი მორჩენის უინი გედება, რადგან გწამს, ერთის სისხლის წვეთები იქცევა სხვების ცრემლის წვეთებად.

იქ შენ სიკვიდლზე შეტევას შესძლებ, რომ უკუაგდო წამი შავნელი და მის მზაკრულ ცელს იმ ბრძოლის ველზე შენი სიციცხლის ამტრევს სკალბელი.

რადგანაც ისენ სენისგან ბევრი, შენი მღელვარე სულის ზვირთებით, შენ ხარ სიკვიდის მოსისხლე მტერი; სიკვიდის აროდეს შეურთვლები!

თანამედროვე მედიცინას მწერლის გადარჩენა შეეძლო, ამტკიცებს მეცნიერი.

მინდა, მადლობა მოვახსენო მას თავდადებული ძიებისთვის. ლესიას სნეულების ისტორია დღევანდელი თაობების ჯანმრთელობისთვის ბრძოლაში გეგმარება...

მოხდა ისე, რომ ჩვენი ურთიერთობის მანძილზე პირადულ ამბებზე არ გვილაპარაკია. და აჰ, სენსაცია! მის განმარტებას ხელი შეუწყო ისევ ლესია უკანასკნელ, მის უკანასკნელ სამყოფელოში ჩასვლაზე. მართლაც რომ უცნაურია ეს წუთისოფელი!

რა თქმა უნდა, ომის შემდეგ კოსტია ტერნოვის გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. არც თვითონ უძებნია მიკიბულ-მიკიბული გზები და მსუბუქი ცხოვრება. ჯერ იყო ოდესის სამედიცინო ინსტიტუტი, მერე რაიონული საავადმყოფო ისევ იმ ლუმანის ოლქში, სადაც თენგიზთან ერთად უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადა... ბრწყინვალედ დაწერილი დისერტაცია, რომლის დაცვას დებიც დაესწრნენ (იმ ტრაგიკულა დღეების მერე

თამარ და ცილა უზნაძეები მისთვის დები!)... მალე ტერნოვის ოდესის საოლქო კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად ნიშნავენ... მერე — კიევი, პედაგოგიური და ადმინისტრაციული სამუშაო. მაგრამ მას არასოდეს დავიწყებია ექიმის ძირითადი მოწოდება — სამედიცინო პრაქტიკა. კლინიკა, რომელსაც განაგებს პროფესორი ტერნოვი, კარგადაა ცნობილი მათთვის, ვისაც თანდაყოლილი თუ ტრავმატოლოგიური სენი აწუხებს.

კონსტანტინე ტერნოვი ერთ-ერთი წამყვანი ტრავმატოლოგი-ორთოპედი, ამტკიცებენ სპეციალისტები. მას ეკუთვნის საფუძვლიანი მეცნიერული შრომები ამ დარგში. მისივე ინიციატივით შეიქმნა ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც აიოლებენ რთული ჩირურგიული ჩარევის ტექნიკას და აჩქარებენ ავადმყოფთა გამოჯანმრთელებას.

...ყოველ სექტემბერს, თენგიზის დაბადების დღეს, ტერნოვის ძმის საფლავზე ყვავილები მიჰქვს. ეს ტრადიცია უკვე ყველამ იცის, აქაც, სამ-


სახურშიც, და იქაც — თბილისსა და სამთავის-შიც.

უკრაინელი მოძმე ღრმა პატივისცემის ნიშნად სოფლის მშრომელებმა საპატიო კოლმეურნედ აირჩიეს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი 1983 წლის 28 სექტემბერს იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ორი ჯარისკაცის გულიდან წამოსული პაწაწინა ნაკადული წყალუხვ, მძლავრ მდინარედ იქცა...

ლესიას ძეგლს ფერად-ფერადი ყვავილებით ამკობენ ქართველები. ლესიას მშობლიური კოველ-შინის სოფელ გოლომში ჭიკო ბენდელიანის საფლავზე აღმართულ ძეგლთან ფერად-ფერადი ყვავილები მიაქვთ უკრაინელებს. ქართველები და უკრაინელები ყვავილთა თაიგულებს აწყობენ თენგიზ უზნაძის საფლავზე. ურდვევია ჩვენი წმიდათაწმიდა ძმობა. ძმობა, ძმობა ხარ ძლიერიო, ამბობს ქართული ანდაზა. ასე იყო და ასეც იქნება უკუნიით უკუნიამდე.

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ. თბილისი-კიევი.





# სახალხო ოუკონი

ახალგაზრდა კაცი გადარეულივით შევარდა სამ-  
ზღერო-საქეიმო კომისიის კაბინეტში და აყვირა:  
„მე ჯერ არ გაგიტარებიათ კომისიაზე, მაგრამ  
ახლავე უნდა გამაგზავნოთ ჯარში და თანაც ისეთ  
ადგილზე, სადაც ყველაზე მეტი საშიშროებაა!  
გთხოვთ, გამიშვათ მოწინავე ხაზზე, სადმე სანგ-  
რებში“.

კომისიის თავმჯდომარე ზეწამოიჭრა, თავგადადე-  
ბულ პატრიოტს მხარზე დაჰკრა ხელი.

„რა გქვია, ჰაბუკო?“  
„ფრედ მოდლინიკი.“  
„ფრედ! შენ სწორედ ის მოქალაქე ხარ, ჩვენ  
რომ სანთლით დავეძებთ.“ შესძახა მან, — ახლავე  
გაიშვებოთ მოწინავე ხაზზე.“

ახალგაზრდა კაცს თავზარი დაეცა.  
„რაო? — შეპყვირა მან, — მაშ, თქვენ მე გი-  
ჟად არ მიგაჩნევართ?“

ახალწვეულს სამხედრო ნაწილის ფსიქიატრი  
სინჯავდა.

„თქვენი მონაცემების მიხედვით სავსებით ჯანსა-  
ლი ხართ, — უთხრა ექიმმა, — იქნებ მაინც მით-  
ხრათ, რას უჩივით?“

„სრულიად არაფერს, — მიუგო ახალწვეულმა, —  
გარდა ერთი უმნიშვნელო რაღაცისა. ჩემს გაჩენამ-  
დე ცოტა ხნით ადრე დედაჩემი და მამაჩემი წაკინ-  
კლავებულან და მამას დედაჩემისთვის თავზე გრა-  
ფინი დაუმტვრევია. მას შემდეგ, რაც დავიბადე,  
ზოგჯერ სულ ვიმეორებ იმას, რასაც ვამბობ, სულ  
იმას ვიმეორებ, რასაც ვამბობ, სულ რასაც ვამბობ,  
იმას ვიმეორებ, სულ რასაც ვიმეორებ, იმას ვამ-  
ბობ, სულ რასაც იმას ვიმეორებ, ვამბობ...“

ერთმა ახალწვეულმა საქეიმო კომისიას თავი იმ-  
ით დააღწია, რომ თვალის ექიმი დაარწმუნა ათი  
ნაბიჯის იქით ველარაფერს ვხედავო, და ჯარში გაწ-  
ვევას გადაურჩა. იმავე საღამოს იგი არხენიან იჯ-  
და უშველგებელი საკონცერტო დარბაზის ბოლო  
რიგში და უცბად გულზე შემოეყარა, როდესაც თა-  
ვის გვერდით იგივე თვალის ექიმი დაინახა, რომე-  
ლიც მომწუსველი მზერით გამოსცქეროდა. ჰაბუკ-  
ო არ დაიბნა და უცბად მოისაზრა რა უნდა ექნა.

„ბოდიში, ექიმო, — თქვა მან, — ხომ ვერ მე-  
ტყვიოთ, ეს ავტობუსი იამიკაზე მიდის თუ არა?“

ომის მოხალისეთა პარადზე ვაშინგტონში ერთი  
ყვარჯნებზე შემდგარი ხეიბარი ასკინილა გაეკიდა  
ფრონტზე მიმავალთ და თან მისძახოდა:  
„წინ, ვაჟაკებო! მოჰბაძეთ ჩემს მაგალითს!“

„რა ნაწილში გინდათ იმსახუროთ, ჯეიმს ჰოლ?“  
„მე არტილერიისტი მინდა ვიყო.“  
„კეთილი. ჩარიცხული ხართ საარტილერიო დი-  
ვიზიაში. შემდეგი! რა გქვიათ?“  
„გლენ ფასტი, სერ!“  
„რა ადგილი გსურთ დიაკავთ ჯარში, გლენ?“  
„მე მინდა ვიყო ნატოს შეიარაღებულ ძალთა  
მთავარი შტაბის უფროსი.“

„თქვენ გიყი ხართ?“  
„მე აუცილებელია მაგ თანამდებობისათვის?“

პირველი ჯარისკაცი: „რამ მოგიყვანა ჯარში მოხა-  
ლისედ?“

მეორე ჯარისკაცი: „ცოლი მე არ მყავს და, საერ-  
თოდ მიყვარს რიარია.“

პირველი ჯარისკაცი: „?!“

მეორე ჯარისკაცი: „შენ რაღამ მოგიყვანა?“  
პირველი ჯარისკაცი: „მე ცოლი მყავს და მყუდრო  
ადგილს ვეძებ.“

სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტი გა-  
მოცდას აბარებდა. გამომცდელი აღმირალი იყო.

„აბა, — მიმართა გამომცდელმა კურსანტს.—და-  
მისახელეთ სამი სახელგანთქმული ბრიტანელი  
აღმირალი.“

„ნელსონი, სერ... დრეიკი, სერ, და... ბოდიში,  
სერ, თქვენ რა გვარი ბრძანდებით?“

ინსტრუქტორმა დაატყო, რომ ჯგუფი დაიღალა  
მეცადინეობისაგან და გადაწყვიტა სიტუაცია რაი-  
მე მსუბუქი ოხუნჯობით განემუხტა.

„თუ სკამს ოთხი ფეხი აქვს“, — დაიწყო მან,  
„თეთრად არის შეღებილი და გორგოლაქებზე და-  
გორავს, რამდენი წლისა ვარ მე?“

უკანა რიგებიდან უმაღლესი წამოიჭრა ერთი კურსან-  
ტი.

„ორმოცდაოთხის“, — თქვა მან.  
„ბიჭოს!“ — გაოცდა ინსტრუქტორი. „სრული  
სიმართლეა. როგორ გამოიცანით?“

„ჩემი ძმა ოცდაორი წლისაა“, — მიუგო კურ-  
სანტმა, „და ნახევრად სულელია.“

პოლკოვნიკმა მეცადინეობა ჩაუტარა ჯარისკა-  
ცებს და გადაწყვიტა შეემოწმებინა, რა შეიგნეს  
მსმენელებმა:

„ყველაფერი გასაგებია, რიგითო ჯეკსონ?“  
„ღიას, სერ.“

„მაშინ მითხარით, რატომ უნდა გასწიროს თავი  
ჩვენმა ჯარისკაცმა ამერიკის შეერთებული შტატე-  
ბის ინტერესებისათვის?“

ხანგრძლივი პაუზა.  
„სრული ჭეშმარიტება გახლავთ, სერ. მართლაც-  
და, რატომ?“

გენერალ-მაიორმა სროლაში მოვარჯიშეთ ჩაუარა  
მანქანით. მსროლელები ძალზე ცუდად ისროდნენ,  
რამაც აღაშფოთა გენერალ-მაიორი და, რაკი აღარ  
დაფიქრებულა იმაზე, რომ თვითონაც კარგა ხანი  
იყო იარაღი აღარ სჭეროდა, მანქანიდან გადმოხტა

და ერთ-ერთ ჯარისკაცს თოფი გამოგლიჯა ხელი-  
დან.

„მე გიჩვენებთ, როგორ უნდა სროლა! — ბრძანა-  
მან, ნიშანს გულმოდგინედ დატყვინა და რამდენჯერ  
ჯერმე ესროლა, მაგრამ ყველა ააცდინა. უხერხული  
სიჩუმე ჩამოვარდა. მდგომარეობა ისევე თვით გენე-  
რალ-მაიორმა გამოასწორა:

„აი, ასე ისვრით თქვენ, თქვე გლახებო.“ ამ სიტ-  
ყვებით ისევე მანქანაში შეხტა და გზაზე ავარდნილ  
კორიანტელში გაუჩინარდა.

გუშაგად მდგომ ახალწვეულს მკაცრი ბრძანებით  
დაავალეს პოსტთან არცერთი მანქანა არ გაეტარე-  
ბინა მინაზე მიკრული სათანადო საშვის გარეშე.  
მან გააჩერა მანქანა, რომელშიც გაბღენძილი იჯდა  
მალალი წოდების სამხედრო პირი და, გაიგონა, რო-  
გორ უბრძანა ამ უკანასკნელმა თავის მძღოლს,  
პირდაპირ გასწიო.

„ბოდიში, სერ“, მოწიწებით მიმართა მას გუშაგ-  
მა. „მე ამ საქმეში ახალი კაცი ვარ. ვის უნდა გეს-  
როლოთ — შოფერს თუ თქვენ?“

კაპრალი (წვეულგებაზე): „იციოთ იმ ბრიყვეული  
გამომეტყველების ოფიცერს, ფანჯარასთან რომ  
დგას? ერთი ყოვლად უმაქნისი პირუტყვია,  
მსგავსს ვერსად ნახავთ.“

ქალიშვილი: „იციოთ, მე ვინ ვარ? მაგ ოფიცრის  
ასული გახლავართ.“

კაპრალი: „თქვენ თუ იციოთ, მე ვინ ვარ?“

ქალიშვილი: „არა.“

კაპრალი: „მადლობა ღმერთს!“

პარაშუტით გადმომხტარს პარაშუტი არ გაეხსნა.  
პაერში გამოკიდებულ თავის მეგობრებს რომ ჩა-  
უქროლა, ამ უკანასკნელეგმა მიიძახეს:

„ჰეი, ტად, როგორ არის საქმე?“

„ჭერჭერობით არა უშავს“, — გაისმა ოპტიმი-  
სტური პასუხი.

პარაშუტისტი თვითმფრინავიდან გადმოხტა სა-  
წვრთნელი ფრენის დროს. პარაშუტი არ გაიხსნა.  
ცაში გამოფენილ ამხანაგებს რომ ჩაუქროლა, შო-  
რიდან ამოსძახა: „ეს უკვე მეორეჯერ შემართება  
ასე!“

ახალბედა მეზღვაურმა ძველ ზღვის მეგლს ჰკით-  
ხა:

„და ასეთი გემი ხშირად იძირება?“

„არა — ხშირად არა. მხოლოდ ერთხელ“, იყო  
პასუხი.

შეგბულემაში მყოფი მეზღვაური შინაურებს  
თავის თვავადასავალს უამბობს: „უცბად რაღაცამ  
ზღართან მოიღო ზღვაში და ატყდა ღრიანცელი,  
არქათ, კაცი გადავარდა, კაცი გადავარდაო. წარ-  
მოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მივიხედ-  
მოვიხედე და დავინახე, რომ ის კაცი მე ვიყავი“.

ინგლისურიდან თარგმან  
გიორგი ჯაბაშვილმა.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: ბონდო დვალიშვილის ფოტოეტიუდი  
„ჩვენ პროფტაქნიკურიდან ვართ!“

გადაეცა წარმოებას 23. 07. 85. ხელმოწერილია დასახეულად 7. 08. 85. უე 05311. ქაღალ-  
დას ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტუ-  
რი წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგა-  
მომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 47.700. შეკვ. 1606. ფასი 35 კაბ.  
880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный  
журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ле-  
яна, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.  
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:  
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის —  
99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის —  
99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, გან-  
ყოფილებათა გამგეების — 98-28-42,  
რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში უამოხული მასალა ავტორს  
არ უბრუნდება.

ავტორი — მოქანდაკე, საქართველოს სსრ სახალხო მხატ-  
 ვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სა-  
 ხელობის პრემიების ლაურეატი ელგუჯა ამანუშაძე, არ-  
 ქიტექტორი — ვახტანგ ღვინჯიანი.

ეროვნული  
 ბიბლიოთეკა



დავით აღმაშენებლის ძეგლი  
 დასრულდა 1968 წელს  
 მდებარეობს ქ. ნაქიჯივანში  
 მონუმენტი აღსანიშნავია  
 თავისი მასშტაბითა და  
 სიძლიერით. მასზე  
 მოთხრობაა ნახიჯივანის  
 ლეონისა და ლეონის  
 ბრძოლის შესახებ.  
 მონუმენტის სიმაღლე  
 10 მეტრია. მასზე  
 მოთხრობაა ნახიჯივანის  
 ლეონისა და ლეონის  
 ბრძოლის შესახებ.  
 მონუმენტის სიმაღლე  
 10 მეტრია. მასზე  
 მოთხრობაა ნახიჯივანის  
 ლეონისა და ლეონის  
 ბრძოლის შესახებ.

„ვეფხი და მოყმე“  
 ფოტო მერაბ ლვინაძისა.



ეროვნული  
გზლიმთიქვა

